1958/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 3 მარტი 1958

ეროვნული ბიბლიოთეკა




მოსკოვი. სსრ კავშირის დიდი თეატრი დეკადის დღეებში.

გარეკანის პირველ გვერდზე: არაგვის კალმახი
ფერადი ფოტო გ. თიკანაძისა.
მეოთხე გვერდზე: ერთ-ერთი სადეკადო პლაკატი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა №3 (80) მარტი 1958 წელი

გამოცემის VII წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები მიესალმებიან ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილეებს დასკვნით კონცერტზე სსრ კავშირის დიდ თეატრში.

7746

# ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში

მიმდინარე წლის 21-31 მარტს ჩატარდა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში. ჩვენი დედაქალაქის მრავალმილიონიანი მოსახლეობა, მოძმე რესპუბლიკების კულტურის მოღვაწენი, ჩვენი სამშობლოს გამოჩენილი მწერლები და ხელოვნების მუშაკნი, საზღვარგარეთელი სტუმრები, ათი დღის განმავლობაში მოწმენი იყვნენ ქართული ნაციონალური კულტურის უდიდეს მიღწევათა დემონსტრაციისა.

დეკადის დღეებში ათეულ ათასობით მაყურებელმა ნახა საქართველოს თეატრების საუკეთესო საოპერო, საბალეტო და დრამატული სპექტაკლები. მოიხიბლა უძველესი და ახალი ქართული სიმღერებითა და ხალხური ცეკვებით, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ უკანასკნელი წლების სურათებითა და საქართველოს ფილარმონიის მსახიობთა ოსტატობით.

მოსკოვის ინტელიგენციასა და მუშა-მოსამსახურეებთან შეხვედრებისას ფართო ინტერესი გამოიწვია ქართველი მწერლების შემოქმედებამ, ქართული პროზისა და პოეზიის ოსტატთა საუკეთესო ნიმუშებმა.

დეკადა გადაიქცა ქართული კულტურისა და მთელი ქართველი ხალხის დიად დღესასწაულად, ხალხთა მეგობრობის, რუსი და ქართველი ხალხების ძმური მეგობრობის ტრიუმფად. ჩვენი ეროვნული კულტურის რჩეულ წარმომადგენლებს წილად ხვდათ ბედნიერება, მონაწილეობა მიეღოთ ლიტერატურისა და ხელოვნების ამ დიად დღესასწაულში და მთელი საბჭოთა ქვეყნისათვის ეჩვენებინათ ქართველი ხალხის შემოქმედების სიმდიდრე, სილამაზე და მრავალფეროვნება.

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის გამარჯვება, ეს ლენინური ეროვნული პოლიტიკის მორიგი გამარჯვებაა და იგი ახალ, მძლავრ ბიძგს მისცემს ჩვენი ხალხის, ჩვენი რესპუბლიკის კულტურის კიდევ უფრო აყვავებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით, მშობლიური ხალხის სიყვარულით შთაგონებული ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები შემდგომშიაც დაუღალავად იბრძოლებენ ახალი შემოქმედებითი წარმატებებისათვის.



დეიდა ელენე და მისი მოწაფეები...

# ხელები და შრომა

## ხუთი დობილი

— აი, ისინიც, — მითხრა ელენე ლუდუშაურმა და მიმითითა ჩვენსკენ მომავალ გოგონებზე, — ხომ გითხარით, მუდამ ერთად არიან-მეთქი.

სიცილით მოდიოდნენ ქალიშვილები, ხუთი მეგობარი, ხუთი დობილი: ვენერა და ეთერი ჩოხელი, ევგენია ათაბეგოვა, ლიანა საყვარელიძე, დოდო ბითაძე... ახალგაზრდებს შესვენება დაემთავრებინათ და საამქროს უბრუნდებოდნენ.

— როგორ შეეჩვიენ აქაურობას, — ხმადაბლა თქვა ელენემ. — არადა, სულ ახლახან იყო, პირველად რომ მომადგნენ მორცხვად აბუზულები...

გოგონებს საამქროში შევყევით. აქ არც რთული დანადგარები დგას, არც ხმაური ახშობს სმენას. უბრალო, პატარა საკერავი მანქანები, სისუფთავე და მყუდროება იპყრობს ყურადღებას. ეს არის თბილისის ტყავსაგალანტერიო ფაბრიკის ხელთათმანების საამქრო, რომელსაც კომკავშირულსაც უწოდებენ ხოლმე. საერთოდ ამ ფაბრიკაში დამზადებული პროდუქცია არცთუ იმდენად პრეტენზიული და ავტორიტეტულია, მაგრამ იგი საბჭოთა ადამიანების პირველ მოთხოვნილების საგნებს შორის მაინც საპატიო ადგილზე დგას. აქაური ნაწარმი, ქალის ხელჩანთა იქნება ის, თუ მამაკაცის ქამარი, სამგზავრო ჩემოდანი, თუ ხელთათმანი, ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში იგზავნება და მას საკმაო რაოდენობის მყიდველიც ყავს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ კომკავშირულ საამქროს. თექვსმეტი წელია, რაც აქ მუშაობს საამქროს უფროსი ელენე ლუდუშაური, გამრჯე და საქმის ერთგული ადამიანი. აი, სწორედ მასთან მოვიდნენ პირველად ვენერა ჩოხელი და ევგენია ათაბეგოვა. თუმცა ვენერას აქ მოსვლამდე პატარა ოჯახური უსიამოვნების გადატანა მოუხდა. აბა რა დასამალია, ვენერას მშობლებს სრულებითაც არ ეპიტნავებოდათ, რომ მათ შვილს ფაბრიკაში დაეწყო მუშაობა უბრალო მუშად. მაგრამ ვენერამ თავისი გაიტანა და მაინც მივიდა ფაბრიკაში. მივიდა და სიამოვნებითაც მიიღეს. იმ დღესვე ლუდუშაურთან გააგზავნეს. აქ შეხვდა ვენერა ევგენია ათაბეგოვას.

— ესეც გუშინ მივიღეთ — უთხრა დეიდა ელენემ ვენერას. და ქალიშვილი გააცნო: — ერთად ისწავლით საქმეს, ერთ წელიწადს მოწაფეებად იქნებით, შემდეგ ოსტატებად გადაგიყვანთ.

ლიანა საყვარელიძე (მარცხნივ) და ლოდო ბითაძე.



გოგონებს გაეღიმათ — განა მოწაფეობა აღარ გვეყო? — შემდეგ ერთმანეთს გადახედეს.

— სკოლიდან? — ჰკითხა დამხვდურმა.

— სკოლიდან... — უპასუხა მოსულმა.

ასე დაიწყო ორმა გოგონამ მუშაობა. დღეები დღეებს მისდევდა, ხალისიანი და საინტერესო. არაფერი არ იყო ფაბრიკაში უჩვეულო, როგორსაც უხატავდნენ ზოგიერთები ქალიშვილებს. მათ მოვალეობას შეადგენდა ხელთათმანების ცერის მოკერება, სარჩულის გამოკერება, ნაირნაირი ორნამენტით ხელთათმანის მოხატვა და სხვა ამგვარი. ასეთი სამუშაო არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუჭირდეს ახალგაზრდა გოგონას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ქალიშვილებს ახალი სპეციალობის შესასწავლად ერთი წლის ნაცვლად, ოთხი თვეც კი არ დასჭირებიათ. ეს, რა თქმა უნდა, დეიდა ელენეს დამსახურებაც იყო, რომელიც კლასის დამრიგებელივით ადგა თავზე მოწაფეებს, ასწავლიდა, უსწორებდა და უწყრებოდა კიდეც. გამოცდილმა თვალმა მალე შეამჩნია, რომ გოგონების „შემდეგ კლასში" გადაყვანა უკვე შეიძლებოდა და აკი გადაიყვანა კიდეც ოსტატებად. მათაც არ უმტყუნებიათ: გეგმის შესრულებაში ქალიშვილები ორას პროცენტს არ ჩამოსცილებიან.

ვენერა ჩოხელი და ევგენია ათაბეგოვა

**გ. გორისელი**



რომ კმაყოფილები და ნასიამოვნები იყვნენ ფაბრიკით, ამას განა თქმა უნდა? მაგრამ მათ უნდოდათ სხვებსაც ეგრძნოთ ეს სითბო, რაც მათ ახალ სკოლაში მიიღეს. განა ვენერას დაჟინებული თხოვნის შედეგი არ იყო, რომ მისი ბიძაშვილი ეთერი ამავე ფაბრიკაში მოვიდა? ეთერიმ 1957 წელს საშუალო სკოლა დაამთავრა და საბუთები ინსტიტუტში შეიტანა, ბიძაშვილის რჩევას ყური არ ათხოვა. „შევიტან, ვცდი ბედსო". სცადა ბედი და ვერ მოხვდა უმაღლესში. ატყდა წუწუნი ოჯახში. ვენერამ დაამშვიდა ყველა: რა მოხდა, განა მე მაგაზე ნაკლები გოგო ვარ, ფაბრიკაში რომ ვმუშაობ. ერთი წამოვიდეს ჩვენთან, ნახოს ჩვენი საქმიანობა, ჩვენი ხალხი და თუ მერე იქიდან წამოვა, წამოვიდესო.

წაუვა ბიძაშვილს ეთერი. მასაც დახვდა იქ ორი ქალიშვილი „სკოლიდან" — თინა საყვარელიძე და ნათელა ბითაძე. გააგზავნეს ახლად მოსულები დეიდა ელენეს „ჯგუფში" მოწაფეებად. მათთვისაც ხალისიანი და საინტერესო დღეები დაიწყო. სწავლობენ გოგონები ახალ სპეციალობას და იმედია, არც მათ დასჭირდებათ ამისათვის ერთი წელი, ისინიც მალე გადავლენ შემდეგ კლასში. დასვენებას და გართობას კი ხუთივე ერთად, თანაბრად ახერხებს. თეატრში, კინოში, ქუჩაში, ერთად დადიან სიცილით, მხიარულად. შეხვდებიან გოგონებს ამხანაგები და კითხავენ ამბავს, ისინი კი ხხაპასხუპით, თითქმის ერთხმად პასუხობენ:

— კარგია, ძალიან კარგი, მოდით ჩვენთან ფაბრიკაში, გოგონებო!

## ახალგაზრდა ქარხნის ახალგაზრდობა

ქარხანა „ელექტროგამშვები" სრულიად ახალგაზრდაა. მას ორი წლის ბიოგრაფიაც კი არა აქვს. საკმარისია ითქვას, რომ მისი კორპუსების ნახევარზე მეტი ჯერ კიდევ ხარაჩოებშია. ამ ახალფეხადგმულ ქარხანაში ოთხმოც პროცენტზე მეტი ახალგაზრდობაა და თითქმის ყველა ისინი საშუალო სკოლადამთავრებულები არიან. ამიტომ არის, როდესაც ამ ქარხნის საამქროებში მოხვდებით, გგონიათ, რომ იმყოფებით თბილისის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში. განსაკუთრებით ეს იგრძნობა შესვენებაზე ან სამუშაოს დაწყება-დამთავრების დროს. გამოეფინება ახალგაზრდობა და მიდამოს აცოცხლებს მათი ლაღი, ენერგიული, ხალისიანი საუბარი, ხუმრობა, სიცილი. ყველგან იგრძნობა ჭაბუკური მაჯისცემა. ასე გგონიათ, რომ ამ ახალგაზრდებს წამით მიუტოვებიათ აუდიტორიები და კაბინეტები და ქარხნის გასაცნობად მოსულან. სინამდვილეში კი ეს ასე როდია. მათ უმრავლესობას კი არ მიუტოვებია უმაღლესი სასწავლებელი, პირიქით, უფრო მტკიცედ მოუკიდნია ხელი სწავლისა და შრომისათვის. პერსპექტიული, საქმიანი და ნათელი გაუხდია თავისი მომავალი.

ავიღოთ თუნდაც ქარხნის ერთ-ერთი ძირითადი საამქრო — ამწყობი. ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი აქ მომუშავე ჭაბუკების და ქალიშვილებისა საშუალო სკოლიდანაა მოსული. ესენი არიან: ლ. ლაშქარაშვილი, ნ. კობაიძე, ლ. წერეთელი, ე. ელისაბედაშვილი, ზ. აბდალოვა, ს. სავჩენკო, ც. ფერაძე, ც. ჯამაკაძე, ც. ქურციკიძე, გ. პეტრიაშვილი, ი. მახარაძე, ჯ. წეველაძე, ი. ებრალიძე, გ. ჭკუასელი, ლ. ესაკია, ზ. ცაციაშვილი, ჟ. ბეგლარიანი, ც. რატია, გ. გვერდწითელი... და რამდენი ერთი ჩამოვთვალოთ, ყველა, თითქმის ყველა სკოლიდანაა მოსული.



ახალგაზრდა გოგონამ ნუნუ კობაიძემ მალე აითვისა ამწყობი მუშის პროფესია.

სკოლიდან კი ახლაც დადიან, მხოლოდ როგორც ექსკურსანტები. დადიან ჯგუფ-ჯგუფად, ცალ-ცალკე. გულდასმით, საქმიანად ათვალიერებენ ყველაფერს. მიუჯდებიან მაგიდას და ცდილობენ ამა თუ იმ დეტალის დამაგრებას, გასწორებას. ზოგი კი ეჭვის თვალით უყურებს ქარხანას, ზერელედ ათვალიერებს. დაუვებიან ახალგაზრდა მუშები მოწაფეებს, უხსნიან, უყვებიან ქარხნის ცხოვრების წვრილმანებს და შემდეგ აცილებენ მასპინძლურად, თანაც აბარებენ: „სკოლას რომ დაამთავრებთ, მოდით ჩვენთან, სტუმრებად კი აღარ მიგიღებთ, აქ უნდა დარჩეთ, ჩვენს ახალგაზრდულ კოლექტივშიო".

ისინი კი მიდიან და მართლაც ბრუნდებიან „მასპინძლებად". აი ნათელა ელისაბედაშვილიც ასე მოვიდა. 1956 წელს, დამამთავრებელ წელს, ექსკურსიაზე მიიყვანეს მთელი ჯგუფი. ნათელამაც გულისყურით დაათვალიერა ყველაფერი, შურით შეათვალიერა ცქრიალა სახენათელი მუშა-გოგონები და მტკიცედ გადაწყვიტა მათ გვერდში ამოდგომა. დაამთავრა რკინიგზის მეორე საშუალო სკოლა და პირდაპირ ქარხანაში მოეწყო.

ახლა ნათელა ქარხნის მოწინავე მუშად ითვლება, ამასთან იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტია.

...ნათელას ქარხანაში შევხვდით. შესვენება იყო და საამქროში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მხოლოდ შორს კუთხეში მჯდარი გოგონა შევნიშნეთ. იგი კითხულობდა და მალიმალ რვეულშიც ინიშნავდა რაღაცას.

— რატომ არ შეისვენეთ, ნათელა?

— ზეგ უმაღლეს მათემატიკაში გამოცდა მაქვს, მეშინია, არ შევრცხვე- დროს არ ვკარგავ, სადაც დავიხელთებ, ვმეცადინეობ...

ჩვენ არ გავაცდინეთ სტუდენტი-მუშა და დავშორდით.

...სამი დღის შემდეგ კი კვლავ შევხვდით მას. პლეხანოვის სახელობის კლუბში, ლენინის სახელობის რაიკომს საღამო მოეწყო თემაზე: „სკოლიდან — წარმოებაში".

— სიტყვა ეძლევა თბილისის „ელექტროგამშვები" ქარხნის მოწინავე მუშას ნათელა ელისაბედაშვილს — გამოაცხადა თავმჯდომარემ.

ტრიბუნაზე ქერა, ოდნავ სახეაწითლებული, ლამაზი გოგონა შემოდგა. ნათელას სიტყვა გრძელი და მჭევრმეტყველური არ იყო. მან ცოტა, ძალზე ცოტა თქვა თავის თავზე. უბრალოდ და თბილად მოიგონა ქარხანა, თქვა ის, რასაც ნამდვილად გრძნობს და განიცდის. შემდეგ უცებ მოჭრა და დაამთავრა:

— ერთი სიტყვით, მოდით, უეჭველად მოდით ჩვენთან, ქარხანაში, თქვენ თვითონ დარწმუნდებით ყველაფერში. გელით, მეგობრებო.

ფოტო ოთ. თურქიასი



შორს კუთხეში მჯდარი გოგონა შევნიშნეთ. იგი კითხულობდა და მალიმალ რვეულში ინიშნავდა რაღაცას. ეს ნათელა ელისაბედაშვილი იყო.

— გოგოებმა შეჯიბრებაში გამოგვიწვიეს, — აცნობა ბიჭებს ამწყობი საამქროს ახალგაზრდა ცვლის ოსტატმა იაგო ალექსიძემ (ცენტრში). ეს ამბავი ჭაბუკებს სიცილადაც არ ეყოთ მაგრამ ვნახოთ ვინ გაიცინებს ბოლოს.



გიორგი ჯალანღაძე

## ჩაუქრობელი კერა

ალარც შორს არის აქედან
თეთრი სიბერე ჩემი,
ოცი წლის გალმა გავხედავ,
ხელს გავუწოდებ მერმისს.
ლრუბელს გადახწევს მზე განზე,
მთებზე ცის ნათელს დაღვრის,
ლიხთიმერეთში, ზეგანზე,
მოჩანს ცისფერი სახლი.
ირხევა ჩრდილში აივნის,
იასამანი ღელავს,
კაბის შრიალით გაივლის
ჩემი ასული — ლელა.
სიცოცხლეს ვეთამაშები,
მზეში გრიგალებს დავრჩი,
დაზრდილან ჩემი ვაჟები
მამულს უდგანან მხარში.
დრომ გული ჯერ ვერ შესუდრა,
ფიქრი არ არის დაღლის,
ცის ლაჟვარდებში შეიურდა
ჩემი პატარა სახლი.
ოცნებას ბოლო არ უჩანს,
ტოტებს ატოკებს დაფნა,
დგას ჩვენი თეთრი ალუჩა,
როგორც ხომალდის აფრა.
კაცი ვარ, დრომ ვით გამთელოს,
გულს უკვდავებას სჯერა,
დიდება ფუძის ანგელოზს
და ჩაუქრობელ კერას!

ამირან აბშილავა

* * *

ნაპირს გაცდა გემი თეთრი,
შორს სივრცეში მიფარფატებს აფრა,
საით მიდის ასე მარტო, კენტი,
სულ არ მოჩანს,
ვაუ, როგორ გაქრა!..
მობრუნდება იგი მალე
და მოიტანს შორი ქვეყნის ამბავს,
მე ლოდინით ველარ დავლლი
თვალებს,
სხვა დახვდება
ამ ნაპირზე ალბათ.
შენც მიდიხარ, ვით ის გემი
და ღიმილით მეთხოვები, წყნარად,
მჯერა, მოხვალ, მაგრამ აღარ გელი, —
სხვა დაგხვდება,
მე კი, ალბათ, არა!

ჯანსუღ ჩარკვიანი

## როდესაც გარეთ ქარია

ხშირად, როდესაც გარეთ ქარია,
მთებზე ღრუბლები დაბალახობენ,
მე კარს გავუღებ ღამეს მთვარიანს
და დავპატიჟებ როგორც ახლობელს.
ხელის ცეცებით მოვძებნი ქაღალდს,
ასე ჩუმი და ფიქრში გართული
და სტრიქონების ცისფერი ტალღა
ამეტყველდება ლბენით ართქმულით.
ზღვა...
მთები...
მთვარე...
ლურჯთვალა ია,
ბავშვობა,
მზე და წკრიალა დილა,
თითქოს ჩემს ირგვლივ იწყებენ
ტრიალს
და მეგობრულად მიწვდიან ხელებს.
იქნებ არც ღირდა ამის გამხელა, —
ან რისთვის ვღელავ ვითარცა
ბავშვი,
ეს დედამიწა ასე, ამხელა,
რატომღაც ჩემი მგონია მაშინ.
მგონია, ცაში დავფრინავ ლაღად,
დავეძებ ქარში დაკარგულ დღეთა,
ხან ვწუხვარ, ვფიქრობ გამომრჩა
რაღაც
და ის ველარ ვთქვი, რაც უნდა
მეთქვა.
თავდება ღამე...
გრიალებს ქარი,
კვლავ მარტოდ ვრჩები საკუთარ
თავთან
და მე მგონია, მე ვიყავ მგზავრი,
გადმოიარა რომელმაც ცხრა მთა.

# მეცნიერების დიდ გზაზე

**კოტე ჯავრიშვილი**

ფოტო გ. თიკანაძისა

პროფესორ ალექსანდრე თვალჭრელიძის მიერ თბილისის უნივერსიტეტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრასთან მოწყობილ პატარა ლაბორატორიაში მოხალისე სტუდენტთა მცირე კოლექტივი — ნინო თათრიშვილი, თამარ ყაზახიშვილი, ვერა ხორავა და გოგი ლოლაძე იწყებდნენ იმ დიდ საქმეს — გუმბრის ფლორიდინული თიხების შესწავლას, რომელიც შემდეგში საფუძვლად დაედო ამ შესანიშნავი თიხის — „გუმბრინის" საკავშირო მასშტაბით გამოყენებას ნავთის მრეწველობაში.

1929 წლის თებერვლის 15-ს ფლორიდინის ლაბორატორიის საფუძველზე ჩამოყალიბდა გამოყენებითი მინერალოგიის საკავშირო ინსტიტუტის საქართველოს განყოფილება, რომლის მთელი კოლექტივი ახალგაზრდობისაგან შედგებოდა.

ამ ახალგაზრდათა შორის იყვნენ უკვე კურსდამთავრებული ბუნებისმეტყველები ნინო თათრიშვილი და თამარ ყაზახიშვილი.

გეოლოგის პროფესიის ნამდვილი რომანტიკა ქალებმა საველე სამუშაოებზე იგრძნეს.

ნინო თათრიშვილს გეოლოგის პროფესიაზე არც უფიქრია, მას უფრო ქიმიისკენ მიუწევდა გული. საბუნებისმეტყველო დარგის დამთავრების შემდეგ, შეიძლება გეოლოგიურ ლაბორატორიაშიც ემუშავნა ქიმიკოსად, მაგრამ პროფესორ თვალჭრელიძესთან მუშაობის გასულმა წელმა ერთიანად შეცვალა მისი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, გეგმები და განზრახვები.

პროფესორმა აქაც ის ხერხი იხმარა, რომელიც მისთვის ფრიად დამახასიათებელი იყო: ზედმეტი ლაპარაკი და შეგონება არ დაუწყია — ჩარიცხა ლეხურის გეოლოგიურ-საძიებო პარტიაში და აი, რამდენიმე დღის შემდეგ, ნინო, რომელიც თბილისში გაიზარდა და თავის სამშობლო სოფელ პატარძეულისა და ბორჯომის მეტი სხვა არაფერი ენახა, კავკასიონის მაღალმთიანეთის შუაგულში მოხვდა.

...ეს ის ხანა იყო საქართველოს წიაღისეულ სიმდიდრეთა კვლევაში, როდესაც ახალგაზრდა ქართველ გეოლოგებს ჯერ კიდევ პირველი იერიშები მიჰქონდათ კავკასიონის მადნეულ საუნჯეთა საიდუმლოს ამოსაცნობად.

ერთი ასეთი მოიერიშე ჯგუფი — ექვსი კაცისაგან შემდგარი საძიებო პარტია ავტომანქანით მივიდა სოფელ ღებამდე, ხოლო აქედან, მთის საცალფეხო ბილიკებით, ჯერ რაიონის აყოლებით გაემართა, მერე გადალახა წყალგამყოფი თხემი და ლეხურის წყალს აჰყვა მადნის ღელემდე.

აქ, 2200 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, წყლის მილიონი წლების მუშაობის შედეგად მდინარე ღრმად ჩაჭრილიყო დედამიწის სიღრმეში და ადამიანის თვალწინ თითქოს გამოფატრული ჩანდა მიწის შინაგანი აგებულება.

მადნის ღელის მარცხენა ფერდობზე გაშიშვლებულიყო ამღილი და თითქოს ყალუზე შემდგარი ფიქლების წყებები.

ნინოს ჯერ თვალით არ ენახა, მაგრამ აქ, ლეხურში პირველად ხელშესახებად და თვალნათლივ დარწმუნდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სიღრმეში ჩაწოლილი მაგმური ქანების შესწავლას, რომელთა წიაღიდან ამოდიან დედამიწის ზედაპირულ ზონებში ლითონები და ჰქმნიან მადნეულ საბადოებს.

აქ, მადნის ღელის მარცხენა ფერდობზე, დედამიწის ქერქი თითქოს მახვილით იყო გაკვეთილი, რათა დაენახვებინა ადამიანისათვის მისი შინაგანი აგებულება. ფიქლების წყებებს მადნით ამოვსებული ნაპრალები ჰკვეთენ. ნარინჯისფრადა და წითლად ღვივიან ალმასივით მოელვარე რეალგარი და ოქროსფერი აურიპიგმენტის კრისტალები. ლითონის ელვარებას გამოაკრთობენ ტყვიისფერი და მუქი, მოლურჯო ანტიმონიტის წანაგები. მწვანე, მონაცრისფრო, თეთრი სკოროდიტი, ოქროსფერი და ჩალისფერი პირიტი და მარკაზიტი, თეთრქაფა კალციტი და მთის ბროლის მოელვარე, სვანეთის კომკებივით შეჯგუფული კრისტალები.

...ქიმია შესანიშნავი მეცნიერებაა... აქ, ლაბორატორიაში, ანალიზის დროს იშლება ნივთიერების აგებულების საიდუმლოება — მაგრამ, რამდენად უბადრუკი და მარტივი ჩანდა ყველა ლაბორატორული „საკვირველება" — აქ, ბუნების ქიმიური ლაბორატორიის ბუმბერაზულ მასშტაბებთან შედარებით.

გეოლოგი კვალდაკვალ მიჰყვება ამ ქიმიური პროცესების ყველა ეტაპს და მის წინ იშლება სურათი იმისა, თუ როგორ იქმნებიან ეს ბუნებრივი ქიმიური ნაერთები — მინერალები.

გეოლოგმა უნდა ამოიცნოს ამ ბუნებრივი პროცესის არსი და მიმართულება და მაშინ მისთვის ცხადი ხდება ის, თუ სად უნდა ეძებოს მინერალთა ყველაზე მეტი დანაგროვი და როგორ აღმოაჩინოს დედამიწის წიაღში დამარხული მადნეული საბადო.

ნინო გაიტაცა მუდმივი ძიებისა და კვლევის, ბუნების საიდუმლოების ჩაღწევის, მათი ამოცნობის რომანტიკამ. აქ დაინახა მან, თუ რა ვრცელი და ზუსტი მეცნიერული ცოდნით უნდა იყოს შეიარაღებული გეოლოგი, რომ შეეძლოს ათასი ფარული და თვალისთვის თითქმის შეუმჩნეველი ნიშნის მიხედვით მიაკვლიოს მადანს. გაეცნო და შეიყვარა გეოლოგის დაუდეგარი, მუდამ მოხეტიალე და ათასი ხიფათითა და გაჭირვებით სავსე ცხოვრება.

• • •

პროფესორმა თვალჭრელიძემ პირველივე კურსიდან ყურადღება მიაქცია დიდთვალება პატარა გოგოს, ასეთი გულისყურით რომ უსმენდა და იწერდა მის ყოველ სიტყვას...

რამდენიმეჯერ გამოელაპარაკა თამარ ყაზახიშვილს. შესთავაზა პეტროგრაფიის დარგში მუშაობა. მოელაპარაკა პროფესორ პეტრე მელიქიშვილს და თამარმა გულისფანცქალით შედგა ფეხი დიდი მეცნიერის ლაბორატორიაში. აქ, მისი ხელმძღვანელობით, შეისწავლა მინერალების პირველი ანალიზები და მათ მეთოდიკას დაეუფლა, მერე, 1929 წელს, მოსკოვში, პროფესორ ზილბერმინცთან თიხების მექანიკური ანალიზი შეისწავლა, ფლორიდის ლაბორატორიის „მოხალისე ოთხეულის" წევრი გახდა, მაგრამ გეოლოგიურ „საველე" სამუშაოზე არ ყოფილა.

გეოლოგიური კვლევა-ძიება ვაკე ქვეყნებში განვითარდა, ამიტომ ბუნების უშუალო შესწავლას „ველად გასვლას" უწოდებდნენ, მაგრამ სიტყვები „ველი" და „საველე სამუშაო" შერჩა გეოლოგიურ ტერმინოლოგიას დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ მთიან ქვეყნების გეოლოგებს, განსაკუთრებით, კავკასიონის მკვლევარებს, ხშირად ოცნებადაც აქვთ გადაქცეული სწორე ზედაპირზე გავლა.

როგორია ეს „ველად" მუშაობა თამარმა მაშინ იგრძნო, როდესაც გუმბრის ხევ-ხუევებსა და ღელეებში მოხვდა ფორთხიალით.

გუმბრში ჩამოსვლამდე თამარს ბუნება ხეირიანად არც ენახა. ბაქოში დაბადებული და თბილისში გაზრდილი, იგი აგარაკად თელავსა და თეთრ წყაროს არ გასცილებია და ახლა კი პირისპირ დადგა ბუნების წინაშე. აქ, გუმბრში, თამარი პირველად გაეცნო საველე კვლევის მძიმე, მაგრამ საინტერესო მუშაობას. ეს მუშაობა მით უფრო დაძაბული იყო, რომ მრეწველობას საჩქაროდ სჭირდებოდა გუმბრინის მიწოდება და, ამიტომ, ყველა სამუშაოები უჩვეულო სისწრაფით და მრავალმხრივობით მიმდინარეობდა — ახალი მარაგის ძებნა, უკვე აღმოჩენილის ძიება და ექსპლოატაციისათვის შემზადება ერთდროულად ხდებოდა. აქვე მოწყობილ საველე ლაბორატორიაში მოპოვებულ ნიმუშების გამოცდას და თვისებების შემოწმებას აწარმოებდნენ.

თამარი ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა. გეოლოგიური პარტიის უფროს — ბეჟანიშვილს და მის თანაშემწეს მოსე როყვას ველზე დაჰყვებოდა, ძიების ხელმძღვანელ ნიკ. ვაჩნაძესთან ერთად ახლად გათხრილ შურფებს მოინახულებდა და, შემდეგ, ისევ ლაბორატორიაში ვერა ხორავასთან და ახალგაზრდა ქიმიკოსებთან თამარ იაშვილსა და ტანია ზაგიუსთან ერთად მეასედ თუ მეათასედ იმეორებდა ცდებს, ამოწმებდა გუმბრინის მაადსორბირებელ თვისებებს, მერე კი ახალგაზრდა პეტროგრაფ პავლე თოფურიასთან ერთად გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა მიკროსკოპს.

პროფესორი თვალჭრელიძე ხშირი სტუმარი იყო გუმბრისა, — ეს ხომ მისი ოცნების განხორციელება იყო!

იგი ყურადღებით ადევნებოდა ახალგაზრდა გეოლოგის მუშაობას და შეუმჩნევლად გზას აძლევდა და მიმართავდა მას, ხედავდა თამარის მონდომებას, ხედავდა, თუ რა სწრაფად დაეუფლა იგი გეოლოგიურ-პეტროგრაფიულ კვლევას, შეისწავლა მიკროსკოპიის მეთოდები.

აქ, გუმბრში, გამოუმუშავდა თამარს ის თვისებები, რომლებმაც შემდეგი მთელი მისი პრაქტიკული და სამეცნიერო მუშაობა დაგეზეს. იგი მიეჩვია სიზუსტეს და სისწრაფეს, ისწავლა რაიონის ყოველმხრივი გეოლოგიური შესწავლა.

პროფესორი ალ. თვალჭრელიძე ასე ახასიათებდა თავის მოწაფეს: „თამარი დაუღალავი მოსიარულე და ინიციატივიანი ადამიანია. მთის პირობებში მუშაობის დროს იგი არავითარ სიძნელეს არ უშინდება, გულდასმით შეისწავლის ყოველ ხევსა და ღელეს. მის მიერ გამოკვლეული რაიონი დაფარულია ხოლმე მარშრუტების ხშირი ქსელით. ამიტომაა, რომ მის მიერ შედგენილი გეოლოგიური რუკები დიდი სიზუსტისაა".

ნინოცა და თამარიც გეოლოგიური მეცნიერების იმ დარგში მუშაობენ, რომელსაც პეტროგრაფია ეწოდება. იგი კარგა ხანია გამოეყო თავის დედეულ მეცნიერებას — გეოლოგიას და ცოდნის დამოუკიდებელ დარგად იქცა.

პეტროგრაფია შეისწავლის დედამიწის ქერქის შემადგენელ ქანებს, მათ წარმოშობას, აგებულებას, ნივთიერ შედგენილობას, გავრცელების კანონზომიერებას და ცვლილებებს, რომელსაც განიცდის ქანი დროთა განმავლობაში.

იმ დროისათვის, როდესაც პროფესორმა თვალჭრელიძემ დაიწყო პირველი მინერალოგიური და პეტროგრაფიული კვლევა, თვით თვალჭრელიძის გარდა საქართველოში კიდევ მხოლოდ ერთი პეტროგრაფი იყო — პროფესორი გიორგი სმირნოვი.

გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტში, უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრებზე თვალჭრელიძემ თავი მოუყარა ახალგაზრდობას და თანმიმდევრულად და გულმოდგინედ დაიწყო მათი აღზრდა.

პროფესორი არ იყო კარჩაკეტილობის მომხრე, მინერალოგიისა და პეტროგრაფიის თავის სკოლას იგი ფართო საფუძველზე ჰქმნიდა. მოწაფეებს იგი საშუალებას აძლევდა უშუალოდ გასცნობოდნენ ლენინგრადის, მოსკოვის და კიევის სამეცნიერო წრეებს, ემუშავნათ საკავშირო აკადემიის ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში.

ნინოსა და თამარსაც ბევრი რამ შეუძენიათ და უსწავლიათ გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერების — აკადემიკოს ფ. ლევინსონ-ლესინგისა და დ. ბელიანკინისაგან, პროფესორ ვ. ლოდოჩნიკოვისა და ზილბერმინცისაგან.

მათგან შეისწავლეს პეტროგრაფიული კვლევის ზუსტი მეთოდები, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რაც მათმა მასწავლებელმა დაუნერგა — ქანების ყოველმხრივი და ზუსტი შესწავლა როგორც საველე ისე ლაბორატორულ პირობებში და მისი პრაქტიკულად საჭირო თვისებების გამოვლინება.

ამიტომაა, რომ თვალჭრელიძის ყველა მოწაფეს ერთი საერთო თვისება აქვს. დიდ სამეცნიერო განმაზოგადოებელ მონოგრაფიებში თუ მცირე, ერთი მოვლენისადმი მიძღვნილ შრომებში, ყოველთვის ყურადღებას აქცევენ საკითხის გამოყენებით მხარეს. მართალია, ეს შრომები შეიძლება უშუალოდ პრაქტიკას არ ემსახურებიან, მაგრამ გეოლოგს ყოველთვის შეუძლია დაეყრდნოს მათ მონაცემებს პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად.

ფლორიდინის პატარა ლაბორატორია მხოლოდ თიხებს იკვლევდა, ახლა კი საჭირო იყო ფართოდ გაშლილიყო საქართველოს იმ რაიონების შესწავლა, სადაც დედამიწის სიღრმეში ჩაწოლილი მაგმური წარმოშობის ქანები გადარეცხილია და დედამიწის ზედაპირზეა გამოსული. ასეთ ადგილებს „კრისტალურ მასივებს" უწოდებენ. მათგან ერთ-ერთი, მეტად საინტერესო და ვრცელი — „ძირულის კრისტალური მასივი" თამარმა და ნინომ, პროფესორ გ. სმირნოვთან ერთად, დაწვრილებით შეისწავლეს და მათი შრომა მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილების შესახებ გამოქვეყნებულია საკავშირო პეტროგრაფიული ინსტიტუტის მიერ.

შრომაში თავმოყრილია სრულიად ახალი მონაცემები ამ რაიონის გეოლოგიური აგებულების შესახებ, გამორკვეულია ქანების ნივთიერი შედგენილობა და მათი ასაკი.

ეს იყო მათი პირველი ნაბეჭდი შრომა. შემდეგში მათ ერთად და ცალცალკე ან სხვა გეოლოგებთან თანამშრომლობით, მრავალი ათეული შრომა გამოაქვეყნეს, მაგრამ ეს იყო მათი პირველი ნალვაწი. ამიტომ, ცხადია, შემდგომი ოცი წლის განმავლობაში ზოგი მათი დასკვნა მოძველდა, ზოგი რამ ახლად აღმოჩენილმა ფაქტებმა ძირითადად შესცვალეს, მაგრამ ამ შრომამ გამოავლინა ის თვისებები, ორივე მეცნიერის მთელ შემდგომ მუშაობას რომ ახასიათებს: ბუნების ყოველმხრივი გულდასმითი დაკვირვება, შეგროვილი მასალის მიკროსკოპული მეთოდებით ზედმიწევნით ზუსტი შესწავლა და კონკრეტულ მასალაზე აგებული ფართო თეორიული განზოგადებანი, რაც საფუძვლად უდება დასკვნებს მადანთა ძიებასა და პრაქტიკული გეოლოგიის სხვა დარგების გამოსაყენებლად.

ამ მხრივ ორივე გეოლოგის მეცნიერული მოღვაწეობა ერთი გზით წარიმართა, მაგრამ მათ შორის ერთგვარი განსხვავებაცაა: ნინო თათრიშვილი მუშაობდა იმერეთსა და ზემო რაჭაში, ბორჩალოში და ხრამის ხეობაში, წალკასა და ზემო-სვანეთში. მისი კვლევის საგანი — საქართველოს უძველესი მაგმური ქანებია, მათი ასაკისა და წარმოშობის თავისებურებათა დადგენა; ამგვარად, მისი მუშაობა უფრო თეორიული საკითხების გარკვევის ხაზით წარიმართა.

თამარ ყაზახიშვილის კვლევას პრაქტიკული ხასიათი მიეცა. იგი იკვლევს ხრამისა და სუფსის ხეობების პეტროგრაფიას, სწავლობს ციხის-ჯვარისა და ციხის-ძირის ანდეზიტებს, ეძებს მინერალურ ნედლეულს და შეისწავლის მის საბადოებს.

დადგა დღე, როდესაც პროფესორმა თვალჭრელიძემ გამოუძახა ორივე მოწაფეს და სადისერტაციო თემების შერჩევა დაავალა. თამარმა თემად აილო „ხრამის კრისტალური მასივი", ნინომ კი — თეორიული ხასიათის თემა — „კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი კალთის პეტროგრაფიისათვის".

1939 წლის ივნისში თბილისის უნივერსიტეტის გეოლოგიის აუდიტორია და მისი მომიჯნე დერეფანი გაივსო მზისგან საზეგარეუჯელი ახალგაზრდობით. საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ გეოლოგები, რომ დასწრებოდნენ იმ წლებისათვის უჩვეულო პაექრობას: ერთდროულად რამდენიმე გეოლოგი იცავდა შრომას — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მათ შორის იყვნენ ნინო თათრიშვილი და თამარ ყაზახიშვილი — პირველი ქართველი გეოლოგი ქალები, რომლებმაც ქართველ ქალთა შორის პირველებმა დაიცვეს სადისერტაციო შრომა და მოიპოვეს გეოლოგია-მინერალოგიის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ორივეს ოპონენტებად მათი მასწავლებლები ალექსანდრე თვალჭრელიძე და გიორგი სმირნოვი გამოდიოდნენ.

პირველი სამეცნიერო ხარისხი მხოლოდ ერთ-ერთი მიჯნაა მეცნიერის ცხოვრებაში. მერე ისევ გრძელდება დაძაბული შრომა და ძიების გზა, რომელიც მუდამ აღმავალი ხაზით მიემართება და თავდება მხოლოდ ცხოვრების უკანასკნელ მიჯნასთან.

ნინო თათრიშვილის მეცნიერული ინტერესები საქართველოს უძველესი — პალეოზოური და პალეოზოურამდელი ასაკის ქანების ირგვლივ ტრიალებს. იგი შეისწავლის ზემო-სვანეთისა და ხრამის, წალკისა და ძირულის სიღრმეულ და ამონაფრქვევ ქანებს და ამ შესწავლის საფუძველზე ფართო თეორიულ განზოგადოებებს ჰქმნის, რაც შესაძლებლობას აძლევს ახლა უკვე მთელი საქართველოს ქანების შესახებ იქონიოს მსჯელობა. ასეთ შრომათა რიცხვს ეკუთვნის ნინო თათრიშვილის მონოგრაფია (დაწერილია პროფ. გიორგი ზარიძესთან ერთად) „საქართველოს მაგმური გეოლოგიის შესავალი" და ვრცელი შრომა „მაგმური მოღვაწეობა საქართველოში პალეოზოურამდელ და პალეოზოურ პერიოდში".

ამ შრომაში მეცნიერმა მოუყარა თავი მთელ თავის დასკვნებს საქართველოს ინტრუზიული ქანების შესახებ, განაზოგადოვა და კრიტიკულად გადასინჯა დიდძალი მასალა, დაგროვილი სხვა მეცნიერების მიერ, და შექმნა საქართველოს უძველესი ქანების წარმოშობის, მათი ჩამოყალიბების და ასაკის ერთიანი მწყობრი თეორია. ეს შრომა წარდგენილ იქნა, როგორც სადოქტორო დისერტაცია და 1948 წელს, მისი საჯაროდ დაცვის შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ნინო თათრიშვილს მიანიჭა გეოლოგია-მინერალოგიის დოქტორის ხარისხი, ხოლო 1952 წელს მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის პროფესორობა.

თამარ ყაზახიშვილის შემდგომი მუშაობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. საქართველოს ტერიტორიის პეტროგრაფიის დეტალურ შესწავლასთან და გეოლოგიურ აგეგმვასთან ერთად იგი ხელმძღვანელობს საძიებო-საკვლევო ექსპედიციებს, ეძებს, პოულობს და იკვლევს მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულს. ამ მუშაობას პრაქტიკული მიმართულება განსაკუთრებით ომის წლებში მიეცა, როდესაც თამარი ბოლნისის რაიონის ბარიტებს იკვლევდა, მუშაობდა კახეთის სპილენძ-პიროტინის მადნებისა და საქართველოს კრისტალური ფიქალების შესწავლაზე. ხელმძღვანელობდა მრავალრიცხოვან ექსპედიციებს, განაგებდა გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტის მინერალოგიურ-პეტროგრაფიულ სექტორს, ამავე ინსტიტუტის სწავლული მდივანიც იყო.

ნინო თათრიშვილი თბილისის უნივერსიტეტის პროფესორია და მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის პეტროგრაფიის სექტორის გამგე. მისი აღზრდილები, არა მარტო რიგითი გეოლოგები არიან, მასთან მუშაობენ და მხარში უდგანან ახალგაზრდა მეცნიერი — პეტროგრაფები მოთა ყაზახიშვილი, ირაკლი ხმალაძე, თამარ დუდაური.

თამარ ყაზახიშვილი 1948 წლიდან პედაგოგიურ სამუშაოზეა — იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის დოცენტია. აქაც განაგრძობს თავის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას და ყოველ ზაფხულს მას ვხედავთ ხან ჩორჩანის ტალკის საბადოზე, ხან აფხაზეთისა და ქლუხორის ულტრა — ფუძე ქანების საკვლევად მაღალმთიანეთში გასულს. უკანასკნელ წლებში იგი სრულიად ახალ საქმეს მოეკიდა და პროფ. გ. ზარიძესთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიის პეტროსტრუქტურულ აგეგმვაში იღებს მონაწილეობას, რომელსაც, მოსკოვის უნივერსიტეტის თაოსნობით ერთად ატარებენ რუსი და ქართველი პეტროგრაფები.

ნინოს და თამარის პირადი ცხოვრება ისე წარიმართა, როგორც ხშირია გეოლოგებს შორის... ნინო და მისი მეუღლე, ცნობილი პეტროგრაფი პროფესორი გიორგი ზარიძე, ერთსა და იმავე სამეცნიერო საკითხებზე მუშაობენ.

გეოლოგებში ხშირია მთელი „გეოლოგიური დინასტიების" წარმოშობა, რომლებშიაც მეორე თაობაც გეოლოგიას მისდევს. თამარ ყაზახიშვილის მეუღლე გიორგი ლოლაძე ქვანახშირის საბადოების ცნობილი მკვლევარია ან, როგორც გეოლოგები ამბობენ „მენახშირეა" და მათი შვილი თენგიზიც მშობლების კვალზე დამდგარა და ქვანახშირის გეოლოგიაზე მუშაობს.

ნინო თათრიშვილი და თამარ ყაზახიშვილი იმ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნიან, რომლებიც ჩვენი სამშობლოს მჩქეფარე საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ. ნინო თათრიშვილი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატია, 1949 წლიდან არჩეული იყო უმაღლესი სკოლებისა და მეცნიერ მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად და საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა X ყრილობის დელეგატად, 1951 წლიდან ის საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრია.

თავის სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად იგი ბევრ დროს ანდომებს პროფკავშირულ და სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებას. ამას წინათ, საბჭოთა პროფკავშირების 40 წლისთავთან დაკავშირებით და სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობისათვის მიღებულ შრომის წითელი დროშის ორდენს, შეემატა „საპატიო ნიშნის" ორდენი, რომლითაც მთავრობამ დააჯილდოვა ნინო თათრიშვილი აქტიური პროფკავშირული მუშაობისთვის.

თამარ ყაზახიშვილი 1953 წლიდან უცვლელად ქალაქ თბილისის სტალინის სახელობის რაისაბჭოს დეპუტატია. ყველგან — პოლიტექნიკური ინსტიტუტის აუდიტორიაში, სადაც იგი ასწავლის, თუ რაისაბჭოს დეპუტატთა სესიაზე, საველე მუშაობის უძნელეს პირობებში თუ მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის ლექციებზე, სადაც იგი თვითონ სწავლობს, ყველგან ერთნაირად საქმიანი და მონდომებულია, მცოდნე და აუღელვებელია. მუდამ რაიმე ახალი მეთოდის დანერგვის, ან ახლად აღმოჩენილი საბადოს ირგვლივ ტრიალებს მისი აზრი.

ნინო თათრიშვილმა და თამარ ყაზახიშვილმა პასუხისმგებლობის სრული შეგნებით ჩამოართვეს თავის მასწავლებელს პროფ. ალ. თვალჭრელიძეს მეცნიერული „ამანათრბენი" და ღირსეულად მიაქვთ იგი მეცნიერების დიდ გზაზე მომავალი თაობებისათვის გადასაცემად.

1928

მინერალოგიის კათედრის „ფლორიდინის ლაბორატორიის" პირველი თანამშრომლები ვერა ხორავა (მარჯვნიდან), ნინო თათრიშვილი, თამარ ყაზახიშვილი.



სტუდენტი ნინო თათრიშვილი „ფლორიდინის ლაბორატორიაში" მუშაობდა.



1958

დოც. თამარ ყაზახიშვილი სამართლიანი გამომცდელია... მაგრამ სტუდენტებს მაინც აუტოკდებათ ხოლმე გული, როდესაც საგამოცდო ფურცელში ნიშანი უნდა ჩაიწეროს.



ისევე, როგორც 30 წლის წინათ მეგობრები მოეთათბირებიან ხოლმე ერთმანეთს ძნელად გასარკვევი საკითხების გამო. პროფესორი ნინო თათრიშვილი (მარჯვნივ) და დოც. თამარ ყაზახიშვილი ათვალიერებენ საინტერესო ქანის ნიმუშს.








ტყუპი დები მარო და მანია ცისკარიშვილები.

8 მარტი, ქალთა საერთაშორისო დღე, გაზაფხულის დასაწყისს ემთხვევა და გაზაფხულის პირველი ყვავილებიც ჩვენს დედებთან, დებთან და ცოლებთან მიგვაქვს საჩუქრად.

ქალი ჩვენს ქვეყანაში საზოგადოების უფლებამოსილი და აქტიური წევრია, მას დიდი წვლილი შეაქვს საბჭოთა მეცნიერებისა და ხელოვნების საგანძურში, ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. ომის გამჩაღებლებს არასოდეს არ ჰყოლიათ ისეთი დიდი მტერი და მოწინააღმდეგე, როგორიც ქალია დღეს. ქალები იბრძვიან მშვიდობისათვის მთელს მსოფლიოში, თავიანთი შვილების ნათელი მომავლისათვის.

ამ ნომერში ჩვენ ვათავსებთ იმ ქალთა სურათებს, რომლებიც მიუხედავად ახალგაზრდობისა, ხანდაზმული ადამიანის გამოცდილებით ეკიდებიან თავიანთ საყვარელ საქმეს და, პირიქით, ვინც ხანდაზმულობის მიუხედავად, ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება თავის პროფესიას.



ს. ციციშვილი.

* * *

პირველად ნახვისას ტყუპებს ერთმანეთისგან ძნელად განასხვავებს კაცი. მით უმეტეს მაშინ, თუ მათ ერთნაირად აცვიათ, მაგრამ თუ ამის გარდა, ტყუპები ერთნაირად მოძრაობენ, ორეულებივით იმეორებენ ხელებისა და ტანის მოძრაობას, მაშინ ხომ საკუთარი დედაც ველარ გაარჩევს მათ.

სწორედ ასეთ „ორეულებს“ გვანან ტყუპი დები მარო და მანია ცისკარიშვილები, როდესაც ისინი აქეთ-იქიდან ამოუდგებიან სართავ დაზგას და გამალებით იწყებენ მუშაობას.

სკოლის VI კლასის დასრულების შემდეგ დებმა საქარხნო-საფაბრიკო სკოლა დაამთავრეს, უკვე სამი წელია, რაც ისინი თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში მუშაობენ და 200-200%-ით ასრულებენ გეგმას, ასე, რომ მათ მიღწევებსაც ვერ განასხვავებთ ერთმანეთისგან.

* * *

იშვიათია დაასახელო ისეთი კეთილშობილი პროფესია, როგორიცაა ექიმობა. ექიმი ნამდვილი მსახურია ადამიანისა, იგი ყოველთვის სიცოცხლის სადარაჯოზე დგას. ექიმს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს თავისი საქმიანობა, და ზედმიწევნით რომ შეასრულოს ვალდებულებანი, მასში თავს უნდა იყრიდეს ყველა ძვირფასი თვისება ადამიანისა: სიდინჯე, გულისხმიერება, ტაქტი, სწრაფი მოსაზრების უნარი, დაკვირვებული თვალი და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ ყველა ამ თვისებითაა დაჯილდოებული თბილისის სასწრაფო დახმარების ექიმი ტატიანა ანდრიაძე, რომელიც უკვე ათეული წლებია, რაც დიდი სიყვარულითა და მონდომებით ემსახურება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

* * *

ლანა ღოღობერიძემ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დაიცვა დისერტაცია თემაზე „უოტ უიტმენი“, ცალკე წიგნად გამოსცა ამავე სახელწოდების მონოგრაფია ამერიკელ პოეტზე, შემდეგ თარგმნა რაბინდრანატ თაგორის ლექსების ციკლი და შევიდა... სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის პირველ კურსზე. ასეც ხდება ხოლმე, ახალგაზრდობაში „კინემატოგრაფიული სისწრაფით“ იცვლება მიდრეკილებანი.

ექიმი ტ. ანდრიაძე მორიგ გამოძახებაზე.



ლანა ღოღობერიძე ახლა კინო-სარეჟისორო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია. მან ახლახან საკუთარი სცენარის მიხედვით, თბილისის კინოსტუდიაში გადაიღო კინონარკვევი „გელათი“.

* * *

ჟურნალ „ნიანგის“ სამდივნოში ცნობილი ქართველი მწერალი შევიდა. არა, დღეს მას იუმორისტული მოთხრობა არ მოუტანია ჟურნალისათვის,



ლ. ღოღობერიძე

სქელი ხელნაწერი უჭირავს, ახალდამთავრებული რომანი, და მოკრძალებით უახლოვდება რემინგტონზე მომუშავე ქალს.

— ქალბატონო, სონია, იცოდეთ, უარი არ მითხრათ, უნდა დამიბეჭდოთ, ძალიან მეჩქარება!

რამდენს მიუმართავს ასეთი თხოვნით სონია ციციშვილისათვის, რადგან იგი ბრწყინვალედაა დაუფლებული თავის მძიმე ხელობას. ს. ციციშვილმა ასევე კარგად იცის ქართული ენა, მართლ-წერა, პუნქტუაცია, თუ სადმე შემთხვევით შეცდომა გაეპარა ავტორს, გაასწორებს, თვითონ კი კორექტურულ შეცდომას არ დაუშვებს, თუნდაც მუშაობის დროს ვინმეს ესაუბრებოდეს.

30 წელი შესრულდა, რაც სონია ციციშვილი ჟურნალ „ნიანგში“ მუშაობს ახალგაზრდული ენერგიითა და სიყვარულით, ეს არც ისე სახუმარო საქმეა.

ამას წინათ, სონია ციციშვილი, როგორც გამოცდილი სპეციალისტი, უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიიწვიეს მოსკოვში, სესიის დოკუმენტთა ქართული ტექსტის საბეჭდად და საკორექტუროდ. ეს დიდი პატივი იყო მისთვის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიყვარული

თენგიზ გოგოლაძე

მხატვარი ზ. ლეჟავა



აი, მშობლიური პატარა ქალაქი. ჩემს მოწაფეობაში იგი დიდ სოფელს უფრო ჩამოჰგავდა თავისი ორღობეებით, შუკებით, აივნიანი დაბალი სახლებითა და ბაღებით. მხოლოდ შუაში ჩაუდიოდა ფართო გზა, წვიმიანში წუმპე და ტალახი გაუვალს ხდიდა ამ გზას.

მეცხრე კლასში ვიყავი, როცა სიყვარულით თავბრუდახვეულმა პირველი ღამე უძილოდ გავტეხე.

რა ხანია მეზობლები ვართ, რა ხანია ერთ სკოლაში დავიარებით მე და მერი.

რა კარგია სიყვარული, მისი დაბადების პირველი წუთები!

აივანზე ვზივარ და ეს ტიალი ღამე არ თავდება, ჭრიჭინობელა არ იღლება, ვარსკვლავი ცას სწყდება და იფერფლება... მერის ეზოში ხანდახან ყურშა გამოდგება და უყეფს ჩრდილებს, მთვარეს, რაღაც მოლანდებებს.

მეცხრეკლასელ ბიჭებს, თითქმის ყველას ყავდა ამორჩეული გოგო. ზოგს მართლა უყვარდა, ზოგი მხოლოდ გატაცებული იყო, ზოგს დღეს ერთი მოსწონდა, ხვალ—მეორე. ერთს კი სულ არ ჰყავდა, ეს იყო ოყრაყი, ტლუ ბიჭი, ზედმეტ სახელად ჭიჭიას ვეძახდით, ბიძის, თუ მამის შარვალი ეცვა და ბაწრით ძლივს იმაგრებდა, როცა დადიოდა, შარვლის ცალი მხარე ნიდაყვით ეჭირა.

სალამოობით, ეს ღინღლიანი, შექოჩრილი ბიჭები, სოფლის შარაზე ჩავივლიდით, რომელიმე ორღობეში სიმღერით შევიდოდით.

რა დრო იყო და რა წუთები!..

ვიჯექი აივანზე და ზოზინით მიდიოდა ღამე.

ირიჟრაჟა. უფრო მეტის მოუთმენლობით ამიძგერდა გული. აი სადაცაა ეზოში გამოჩნდება მერი.

ქათმები უკვე გამოილალნენ ეზოებში, მამლები ღობეებზე შეფრინდნენ და აქეთ-იქით გასძახ-გამოსძახეს, გათენდაო.

გათენდა, ალიონის სილურჯე გაიცრიცა, რძისფერ ცაში ტოროლა ანავარდდა და ბაღებში უკვე ჟივილი დაიწყეს ჩიტებმა.

მერი ყოველთვის ადრე დგებოდა. ამ დილას გვიან გამოჩნდა.

კიბე ჩამოირბინა, მერე სახლს მოუარა და თვალთაგან დამეკარგა.

მე, ალბათ, ფერი არ მედო სახეზე. ისე ვიგრძენი, თითქოს გულიც გამიჩერდა. ერთი რამ მწყუროდა დიდის წყურვილით: გამოვდევნებოდი მერის, მას ერბინა, მეც მერბინა მის ფეხდაფეხ.

თავი დამავიწყდა. გუშინ გაკვეთილები ვერ დავამზადე, რადგან გული ვერ დავუდე. მერის ცქერა ყველაფერს მერჩივნა.

თან მინდა, ქვეყანამ გაიგოს ჩემი სიყვარული, თან მეშინია, ვაითუ უბედო გამოვდგე და კოვზი ნაცარში ჩამივარდეს.

მერი და ლილი უჩემოდ არასოდეს არ წასულან სკოლაში. ლილიმ იმ დილასაც გადმომძახა თავის ეზოდან. ჩანთა ეჭირა ხელში და ჭიშკრისკენ მიეშურებოდა.

მერიც აედევნა თავის დას და ორივემ ერთად თავთავიანთ ჭიშკართან დამიცადეს. მორიდებით მივეხალმე და ვიგრძენი, ლოყებზე პატარა კოცონები რომ გამიჩნდა.

— ავად ხომ არა ხარ, თამაზ? — მკითხა ლილიმ.

— მე... მე...

ჟნა დამება, თვალები ამიწყლიანდა და მერის ვეღარ შევხედე. აბა ის რას მიმიხვდებოდა მიზეზს.

იმ დღეს ექვსი გაკვეთილი გვქონდა, ორი ორიანი მივიღე. არ მაპატიეს ისტორიისა და მათემატიკის მასწავლებლებმა. პირველი გაკვეთილი ქართული გვქონდა. ამას კი გადავურჩი, რადგან მეტად ღვთისნიერი კაცი გვყავდა მასწავლებლად. მერე რაო, მითხრა, ასეც ხდება, რომ ხანდახან ხუთოსანიც არ სწავლობსო... ხვალ კი დღეის მასალასაც გკითხავო.

ოდნავადაც არ დავღონებულვარ ორიანების გამო. ამ დროს სისხლი სიყვარულით მიჩუხჩუხებდა, გული გამალებით რეკავდა, ქვეყანა ჩემი იყო, მე ეს ორიანები რას დამაკლებდნენ?!

ლილიმ კი დაღონებით მითხრა:

— თამაზ, ეს რა მოგივიდა?! რატომ არ მოამზადე გაკვეთილები?

მხრები ავიჩეჩე. აბა, რას ვეტყოდი.

* * *

სულ მერისთან ყოფნა მინდოდა.

რა მალე გამიღიმა ბედმა!

სალამოს კინოში წავედით მეზობლები. სულ გოგო-ბიჭობა ვიყავით. ყიჟინითა და სიცილ-ხარხარით დავბრუნდით უკან. მერი და ლილი ჩემს გვერდით მოდიოდნენ. სულ იმ წუთს ვუცდიდი, როცა ლილი ცოტათი მაინც ჩამოგვშორდებოდა. აღმართი ამოვიარეთ. ძაღლებმა შემოგვიტიეს, ბიჭებმა ძაღლებს შეუტიეს. გოგოები წივილ-კივილით გაიქცნენ. მე ამ არეულობით ვისარგებლე, მერის ხელი ხელში მოვკიდე და შევაჩერე. ძაღლების ძლიერ შეშინებოდა, მაგრამ მე გავამხნევე.

ბიჭებმა ძაღლები გარეკეს, და ჩვენ გზა განვაგრძეთ. მერის კი ხელი არ გავუშვი, არც ის ცდილა განთავისუფლებას. სიბნელეში ლილის ვეღარ ვხედავდი, ის კი ეძახდა დას.

— ხმას ნუ გასცემ, — ვუჩჩიე მერის. შევაჩერე, ვითომ იმიტომ, რომ ლილის დავემალოთ და დიდ ხანს ვაძახებინოთ-მეთქი.

— მერი, რაღაც უნდა გითხრა... მაგრამ არა, ამ სალამოს კი ვერ გეტყვი... გინდ გეწყინოს, გინდ არა, მაინც უნდა გითხრა.

— რა უნდა მითხრა ისეთი? მითხარი ახლა. რამე ამბავი იცი?

— ჰო, ისეთი კარგი ამბავი...

— მითხარი, რა!

შემეხვეწა, მაგრამ მე მაინც ვერ გავბედე, თუმცა ყველაზე კარგი დრო იყო. ის მე ვერ მხედავდა და მე კიდევ მას.

— ხვალ, ხვალ გეტყვი, მერი.

— ჰო, კარგი. ახლა წავიდეთ, თორემ ლილი გაბრაზდება. — მითხრა და გაიწია, ლილის გასძახა:

— მოვდივაარ!

ლილი ბუზღუნით შეგვხვდა.

აბა იმ ღამესაც რა დამაძინებდა! წინა ღამეს თუ ვიგრძენი სიყვარულის დაბადება, ახლა უფრო მეტის სიტკბოებით მომედო და მაიძულებდა ენა ამომედგა. და აი, მთელი ღამე ერთი პატარა წინადადების შედგენას შევალიე. ირიჟრაჟა და მე მაინც კიდევ არ მქონდა გადაწყვეტილი, რა სიტყვებით, როგორ გამომეხატნა ჩემი გრძნობა. ნეტავ მერის იმდენი შესძლებოდა: ერთი დაკვირვებით შემოეხედნა ჩემთვის და წაეკითხნა ჩემი სიყვარული, მერე მის თვალებშიც ჩაწერილიყო, მეც მიყვარხარო, და მეც თავისუფლად წამეკითხნა ეს. აი, მაშინ ვიქნებოდი ბედნიერი კაცი.

გათენდა. სკოლაში წავედი. დიდ დასვენებაზე მერიმ ჩემთან მოირბინა.

— მითხარი ის, რაღაც რომ უნდა გეთქვა.

ვიგრძენი, ლოყები წითლად ამენთო.

— არა, ახლა არა, მერი... გაკვეთილები რომ დამთავრდება... სკოლაში როგორ შეიძლება იმისი თქმა.

— ნეტა რა უნდა იყოს ისეთი!..

გაიკვირვა და დამთანხმდა გაკვეთილების შემდეგ სადმე მარტოდ მარტო შემხვედროდა. მოვძებნეთ ისეთი ადგილი, სადაც მართლა მარტონი ვიქნებოდით. მერი ჩემს წინ იდგა, თვალებში შემომყურებდა და ჩემგან საინტერესო ამბავს ელოდა.

— იცი, რა, მერი...

თვალები ვერ გავუსწორე. უხერხულად შევიშმუშნე.

— რა იქნება, რომ მე შენ მიყვარდე?

მერი შეკრთა, ასეთ რამეს ჩემგან არ მოელოდა. ერთი კი შემომხედა და მერე თავი დახარა. არაფერი უთქვამს. გავთამამდი და ხარბად მივაჩერდი. მეტად მბზინავი და ხშირი თმა ჰქონდა, მუქი წაბლისფერი, მხრებზე დაბნეული.

— რას იტყვი, მერი? — ხმის თრთოლვით ვუთხარი. იგი კვლავ არაფერს ამბობდა, ხელები ნერვიულად გადიფშვნიტა და შემდეგ ფეხის წვერები ერთმანეთს მიუახლოვა, შემდეგ ისევ დააშორა და კიდევ მიუახლოვა.

...იმ დღეს გახარებული და უზომოდ ბედნიერი მიველ შინ. მაშინვე მივუჯექი მაგიდას და ყველა გაკვეთილი მოვამზადე. უჩინარი ლოდი, რომელიც სულ რაღაც ორიოდე დღე ედო გულს, მოშორებული მქონდა. ახლა ოცნებამ ფრთა გაშალა და ცხრა მთა და ველი გადამატარა.

ერთი შეცდომა დავუშვი.

ჩემი სიყვარული ვერ დავმალე და მეორე დღესვე ყველაფერი ჩემს მეგობარს, შიოს გავანდე. გატაცებით მისმენდა, ზოგიერთ რამეს არ იჯერებდა, მაგრამ ბოლოს მაინც დაიჯერა და მომილოცა კიდეც.

ახლა არ იკითხავთ, საქმე რაშია? თურმე ის დედამკვდარი ჰიჰია არ უბრიალებდა თვალებს მერის! შეჰყვარებოდა. მე კი ვერაფერი მითხრა და შიოსთვის უთქვამს. შიომ მაშინვე გამცა და ჰიჰიას ჩაუკენჭა ჩემი სიყვარულის ამბავი.

იმ დღეს ჰიჰია გაკვეთილზე მოუსვენრად იჯდა, მალიმალ ჩემკენ იხედებოდა და თვალებს მიბრიალებდა, მიბღვეროდა. შინ მიმავალს, გზაზე გადმიდგა:

— დაიცა, საქმე მაქვს შენთან.

დავიცადე, ავხედ-დავხედე. შევატყვე ჩემდამი მტრულად იყო განწყობილი.

— რა გინდა?

— რაც მინდა!—ჩაიბურტყუნა მან და შარვლის ზორტი შეისწორა, — რა მინდა და ის მინდა, შენ მერი გყვარებია.

— მე? შენ ვინ გითხრა? საიდან გაიგე?

— მე მიყვარს და იქიდან გავიგე! — მითხრა და არ გასცა ამბის მომტანი.

აღარ შევედავე, ცხადი იყო, ვინც გამცა.

— მერე რა გინდა?—შევეკითხე ცოტა აგდებით.

— თავი უნდა დაანებო!... მე უნდა დამითმო.

ჩვენს ლაპარაკზე ბიჭები მოგროვდნენ სეირის საყურებლად.

— შენ რა, სიცხე გაქვს? — ვუთხარი ჰიჰიას და მოვერიდე, ჩემს გზაზე გავწიე. იმ ოყრაყმა უცებ მხარში ჩამავლო ხელი და თავისკენ შემომაბრუნა.

— სად მიხვალ!

— დუელში გამოიწვიე, ჰიჰი, დუელში! — დაუყიჟინეს ბიჭებმა.

— დაეჭიდე, რომელიც მოერიოს — გოგოც იმისი იყოს! — ურჩევდა ზოგი.

ველარ ავიტანე ჩემი გრძნობის შეურაცხყოფა, ასე სახალხოდ მასხრად აგდება, მამლაყინწასავით წამოვიჭოჩრე და მუშტმოღერებული მივუახლოვდი ჰიჰიას. ახლა მხოლოდ იმას ვუცდიდი, რომ პირველად თვითონ გაერტყა. გამარტყა კიდეც. საშინელი ლაწანით მომხვდა სილა ლოყაში.



— ოჰ, მე! — დავიძახე და ვებდღვენი ჩემს მოცილეს. ისმოდა მუშტებისა და სილების ლაწალუწი, ხალათ-შარვლის ფხრაწა-ფხრუწი. ჰიჰია მაგრად მივბეჟე, თუმცა არც მე დამადგა ხეირი. ტანისამოსი მივისწორ-მოვისწორე, აქოშინებულმა სული ძლივს მოვითქვი.

ჰიჰია წამოდგა, ჩხუბში შარვლის ზორტი გაწყვეტოდა და შარვალი ჩავარდა. სად იყო ბიჭების სიცილი!

მას აქეთ ერთმანეთს ვუბღვეროდით, შორიშორს ვუვლიდით. ჰიჰია ველარაფერს მიბედავდა და მე ისეთი თვალით შევხედავდი ხოლმე, რომ კაცი შიგ ადვილად ამოიკითხავდა: აბა, ერთი კიდევ გაბედე რამე!

და მართლაც, აბა ვინმეს რამე გაებედნა ჩემთვის, ან მერისთვის! ჰიჰია კი არა, ათი ვაჟკაცი ერთად ვერაფერს დამაკლებდა, იმდენი ძალა და გამბედაობა შემმატა სიყვარულმა.

ერთხელ, მერის მამა დიდი ხნით სადღაც წავიდა. მისი წასვლა იყო და ლილი ავად გახდა, ლოგინად ჩავარდა და ერთბაშად ისე ცუდად შეიქნა, რომ საწყალი დედამისი ღამეებს უთევდა.

ვინაიდან მე და ლილი კარგი მეგობრები ვიყავით, ვინაიდან მე მისი და გაგიჟებით მიყვარდა, დედამისს ვუთხარი, ერთ ღამეს მე გავუთევ-მეთქი. უძილობით დაოსებულ ქალს ძალზე გაეხარდა ჩემი წინადადება.

ლამაზი ქალი იყო მერის დედა, მარიამი, მაღალი, წარმოსადეგი, ვაჟკაცური, მარტოდ არ დამტოვა მძიმე ავადმყოფთან. ჩემთან ერთად ღამე გატეხა მერიმაც.

ნაშუაღამევს ჩაეძინა ლილის. იგი სიცხით იწოდა, მე და მერი ერთ ხანს დამწუხრებულები ვისხედით. მეორე ოთახში მარიამს ეძინა.

ფხიზლად ყოფნით მოგვწყინდა ლაპარაკი, იქ კი ეს შეუძლებელი იყო. იქნებ მარიამს მოეკრა ყური ან ლილის გაეგო რამე. ამიტომ საუბრის ყველაზე კარგი ხერხი ავარჩიეთ. მერიმ ერთი რვეული მოიტანა და შიგ ვწერდით, რაც გვინდოდა. სიტყვა პასუხმა რამდენიმე ფურცელი აავსო. ვწერდით უამრავ სისულელეს, მაგრამ ჩვენ ამ სისულელეებით კმაყოფილი ვიყავით.

ვინ იცის, რა არ ვწერეთ და როგორ არ ვწერეთ. ეს ჩვენი ნაწერი რომ არავის ენახა, მერი რვეულიდან ხევდა სავსე ფურცლებს, კეცავდა და უბეში ინახავდა.

რა იქნებოდა ამაზე მეტი ბედნიერება!

მეორე ღამეც გავათიეთ. იმ ღამეს ერთი რვეული აღარ გვეყო და ორი შევავსეთ. გავბედეთ და პირველად ვაკოცეთ ერთმანეთს. შეგვეშინდა, შევკრთით.

„ერთხელაც გაკოცებ!“ მივწერე განთიადისას. პირველი კოცნის ძალა, რაღაც მეტად არაჩვეულებრივი, მეტად ტკბილი, ჯერ კიდევ არ გამომნელებოდა ძარღვებში.

მერი მეტად შეაშინა პირველმა კოცნამ და მთხოვა მეორედ აღარ გამებედნა. ის კი შევატყე, რომ პირველმა კოცნამ იგი უფრო მეტად ჩაშაქრა და უფრო მეტად შევუყვარდი.

ლილის უკეთესობა დაეტყო და „ღამისმთევლები“ აწ აღარ სჭირდებოდა.

ორმა ღამისტეხვამ, მგონი, კარგ ბიჭად გამომაჩინა მარიამის თვალში და თუ კიდევ ერთ ასეთ რაინდობას ჩავიდენდი, მაშინ ხასიძოდ როგორ დამიწუნებდა.

თვალში მეცა მარიამის საკარმიდამო მიწაზე გასათოხნი სიმინდი. სიხარულმა გულში მომილიტინა, რაღაც აზრი ღრმად ჩამებეჭდა გონებაში და იმავ დღეს მოვნახე ჩემი რამდენიმე გულითადი ამხანაგი. აბა, ბიჭებო, ასე და ასეა საქმე და თუ თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ ჩემთვის კარგს ფიქრობთ, და რა ვიცი, რაღა არ ვუთხარი, მარიამის ყანაში წამომყევით სამუშაოდ-მეთქი.

— ხელად გავთოხნით, აი... ძალზე პატარა ყანაა, — დავამთავრე ხვეწნა და ბიჭებს სათითაოდ გადავავლე თვალი.

არც ერთმა არ მიღალატა.

მალე ჩვენ ყველამ მოვიმარჯვეთ თოხები და მასპინძელი რომ განცვიფრებაში მოსულიყო, ჩუმად შევიპარეთ ყანაში და დავცხეთ თოხები მიწას. აივნისკენ ვიყურებოდი. იქ არავინ ჩანდა და ამის გამო ბიჭები ჩუმ-ჩუმად მეხუმრებოდნენ, შენი საცოლე და სასიდედრო არ ჩანან, ნეტა თავს ვის აწონებო.

არ ჩანდნენ, მაგრამ იცით რა ხალისით ვთოხნიდი!

აგერ, ნახევარი ყანა მოვათავეთ. გავხედე აივანს და მარიამი დავინახე. იგი წარბშეკრული გვიყურებდა და, ალბათ, თვალს არ უჯერებდა, ჩვენ არ შევიმჩნიეთ, მუშაობას თავი არ ვანებეთ და სულ მალე ეზოსკენ გამოვედით, სიმინდის უკანასკნელ ძირებს ბალახი გამოვუთოხნეთ, მიწა მივაყარეთ და წელში გავიმართეთ. დახვითქულიყვნენ ბიჭები, ოფლი წურწურით სდიოდათ. თქვენ გენაცვალეთ-მეთქი, გულში გავივლე და იმ წუთში მინდოდა სათითაოდ ყველას გადაკოცნა, მაგრამ თვალი ახლა მარიამისკენ გამექცა.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ჩვენ ყანაში შეგვნიშნა, აივნის ძელს არ მოსცილებია და ასე გახევებული გვიმზერდა. ბოლოს, ყველაფერი

მოვათავეთ, ჩვენსკენ წამოვიდა. მხოლოდ მოახლოებისას შევნიშნე, რომ მას ტუჩებში ღიმილი უკრთოდა.

— გმადლობთ! აი ყოჩაღი ბიჭები ყოფილხართ!

მე უხერხულად მივდექ-მოვდექი, მინდოდა იმ წუთს შუბლზე მწერებოდა, რომ ამ საქმის მოთავე მე ვიყავი, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო და თავიც ვერ ვიქე. ბიჭებიდანაც არავინ უთხრა მარიამს, რომ აი, ამან წამოგვიყვანაო.

მარიამის მადლობა თანაბრად დავინაწილეთ ყველამ.

ლილიც დიდად მადლობელი დაგვრჩა, როცა გაიგო. მთელ სკოლას მოედო ეს ამბავი, შეგვაქეს.

მხოლოდ მერის გამოვუტყდი და ყველაფერი ვუთხარი, გაეხარდა, რომ ჩემი თაოსნობით გავთოხნეთ მათი ყანა და მალულად კოცნა მაჩუქა.

* * *

რა ვიცოდი, რომ ის კოცნა უკანასკნელი იყო.

ერთხელ მარიამი დედულეთში აპირებდა წასვლას. ერთი ტომარა სიმინდი ეყიდნა და ის უნდა მიეტანა დედ-მამასთან. გავიგე, ურემს ეძებდა. მაშინვე ვიმარჯვე და ურემი კარზე მივაყენე. ისეთი ნიშახარებიანი ახალი ურემი ვიშოვნე, რომ კარგ ცხენიან ეტლს არ ჩამოუვარდებოდა.

მერი მალულად, ქვეშ-ქვეშ მიღიმოდა დიდის მადლობისა და სიყვარულის გრძნობით, მარიამი ჯერ ვერაფერს ხვდებოდა.

გზადგავლილი ბიჭი მოვიშველიე და ტომარა ურემზე შევაგდეთ. მარიამიც იქვე მოთავსდა, მე კოფოზე შემოვსკუპდი და ხარები გავლალე.

მერის ეშხიანი თვალების შუქმა ჰაეროვანი კოცნითა და ალერსით გამაცილეს.

ერთ ხანს უბრად მიველალებოდი ხარებს.

რა იქნება, რომ მარიამს ყველაფერში გამოვუტყდე? ის ხომ შვილივით მიყურებს, მას ხომ ვუჩვენე ჩემი ვაჟკაცობა და მარიფათი, მის ქალს ხომ გაგიჟებით ვუყვარვარ და რაღა დაგვიშლის? — ვფიქრობდი გზაში.

გამათამამა ჩემმა სიყვარულმა და დაბნეულად დავუწყე მარიამს საუბარი. ურემი ყანებს შორის უსწორმასწორო გზაზე ნელა მიდიოდა, ირწეოდა, ჯანჯღარებდა.

— რაო, რას ამბობ, ბიჭო? გარკვევით მითხარი.

— აი, ისა, დეიდა მარიამ, რომ...

ალმური მედება ლოყებზე, თონეში ჩავარდნილსა ვგავარ.

— ჰო, თქვი.

— მერის და მე რომ ერთმანეთი გვიყვარდეს, თქვენ...

არ დამამთავრებინა, აქეთ მომხედეო, დამიძახა. ფერიფური წამივიდა, მაგრამ მაინც მივხედე. ილიმებოდა ქალი. გული მომეცა და მეც ღიმილით დავხარე თავი.

— შენზე კარგ სასიძოს სადა ვნახავ! გიყვარდეთ რა!

მითხრა და უცებ ურემი ოქროს ეტლად გადამექცა, ხოლო ნიშახარები — რაშებად და ახლა, ოღროჩოღრო გზაზე კი არა, ცის უსაზღვრო სივრცეში მივცურავდი.

რა ბედნიერი წუთები იყო!

სიმინდი ავიტანეთ. მარიამი იქ დარჩა, მე კი მაშინვე გამოვბრუნდი და სირბილით ლამის დავწყვიტე ხარები. ერთი სული მქონდა შინ ჩამოვსულიყავ, მენახა მერი და მეხარებინა მისთვის.

მერი იმ საღამოს ვერ ვნახე. დილითაც არ გამოჩენილა. ლილიმ გაკვეთილზე დაიგვიანა. დაღონებული იჯდა, მალიმალ ჩემსკენ გამოიხედავდა სევდიანი თვალებით. დასვენებისას შემხვდა და მითხრა:

— თამაზ, შენთან საქმე მაქვს.

— რა მოხდა?

განზე გავდექით, რომ ვინმეს ყური არ მოეკრა ჩვენთვის.

— ამ დილას ადრე დაბრუნდა დედაჩემი. გაუგია, რომ ვითომ შენ და მერის ერთმანეთი გყვარებიათ. გაბრაზებულმა მერი მაგრად ხცემა. მართალია, რომ შენ და მერის...

თვალები ცრემლებით აევსო ლილის და ღრმად ამოიოხრა.

— ხო, მართალია, — ვთქვი და თავი დავხარე, სიმწრის ცრემლი მომადგა, ყელში ბოლმა მომებჯინა, სიტყვა ვერ მოვახერხე. მაშინ რად მითხრა მარიამმა, „გიყვარდეთ რაო“. ნუთუ თვალთმაქცი ქალია? ნუთუ მართლა მომატყუა? იქნებ ნაადრევად ჩათვალა მერის სიყვარული?

მე ყველაფერი ვუამბე ლილის, გულახდილად გამოვუტყდი, ისიც კი ვუთხარი, რაც დედამისმა მითხრა. ლილის შევეცოდე და გული ამოუჯდა.



— დედას უკვე ყავდა ამორჩეული მერისთვის...

თავი ველარ შევიკავე და ცრემლი გადმომცვივდა, შევტრიალდი, სწრაფი ნაბიჯით გავშორდი სკოლას, რომ არავის გაეგო ჩემი გულისტკივილი. ხულ ერთია ვერავინ მომირჩენდა. შინ არ მივსულვარ, მდინარეზე ჩაველი და ტარიელივით გამოვიტირე ჩემი პირველი, უბედური სიყვარული.

* * *

მარიამი ინდოურივით გაიფხორა, თავის ქალიშვილს კალთა გადააფარა და გასაქანს აღარ აძლევდა. მერი ველარ მხვდებოდა და შორიდან რომ მოვკრავდი თვალს, — გულის ყველა ძაფი ერთად მწყდებოდა, რა მექნა აღარ ვიცოდი. ჭირივით შემჯავრდა მარიამი.

გავხდი. ჩამოდნა მერიც. საწყალ გოგოს მეცხრე კლასში გადასვლა არ აცალეს, უფროს დაზე უწინ გაათხოვეს.

თავი ლამის მოვიკალი. მაშინ გაიგეს ჩემიანებმა ყველაფერი. დედაჩემმა მწარედ უსაყვედურა მარიამს: რა იყო, ჩვენი ბიჭი რაზე დაიწუნე, ლამის თავი მოიკლას, ზე არგასახარელოო! — მიაწყევლა და იმ დღიდან მეზობლები ერთმანეთს გადაეკიდნენ. მე ხომ მარიამის დანახვა დღეს მიწამლავდა.

მერი გაჰქრა. იგი სადღაც შორს წაიყვანეს.

დრომ ცოტაოდნავ მომიშუშა გულისტკივილი. ბედს შევურიგდი. საშუალო დავამთავრე და თბილისში ჩაველ სწავლის გასაგრძელებლად.

ერთხელ, ეს იყო მაშინ, როცა მე უნივერსიტეტში მესამე კურსზე ვიყავი, ამხანაგმა სამედიცინო ინსტიტუტში წამიყოლა. იგი მეორე სართულზე ავიდა რაღაც საქმის გამო, მე ქვემოთ, ვესტიბულში დავუცადე. გავიარ-გამოვიარე და ანაზდად სვეტთან ახალგაზრდა ქალს მოვკარი თვალი.

ის არის! — დამკრა გონებაში. ჩემს წინაშე, ცოტა მოშორებით იდგა მერი, უფრო მეტად დამშვენებული, ძვირფასად ჩაცმული. დამინახა თუ არა, გაწითლდა, დაიბნა, უხერხულად შეიშმუშნა. თავს ანგარიში არ მივეცი, მაშინვე მისკენ გავწიე. მინდოდა, ო, როგორ მინდოდა მასთან მისვლა, დალაპარაკება.

მერიმ უცებ იბრუნა პირი და ზურგი შემომაქცია.

რატომ? რა დავუშავე?

თვალთ დამიბნელდა, მაშინვე კარისკენ გავწიე, თავრეტდასხმული ქუჩაში გამოველ და მთვარეულივით გავწიე. მივბარბაცებდი და გულში ცხარე ცრემლით ვტიროდი.

* * *

იმ დღიდან თხუთმეტი წელი გავიდა. მერი არსად აღარ შემხვედრია.

აი, ჩვენი მშობლიური პატარა ქალაქი. ჩემს მოწაფეობაში თუ დიდ სოფელს ჩამოჰგავდა, ახლა იგი რაიონის კეთილმოწყობილი ქალაქია. ჩვენი სახლი კი ისევ ისე დგას. იქ ჩემი მოხუცი დედმამა ცხოვრობდა. შვებულებას მათთან ვატარებდი ხოლმე ჩემი ცოლ-შვილით. მაგრამ უკანასკნელ სამ წელს ვერ მოვიცალე ჩავსულიყავ დედულეთში. სამი წლის შემდეგ მე ჩემს მშობლიურ ეზოში ვარ. ქალაქში ვხვდები ჩემს თბილისელ ამხანაგს, რომელიც რაიონის თავკაცადაა არჩეული. მთავარ ქუჩაზე გავისეირნეთ საუბრით. ერთგან გავჩერდით, სადაც კინოთეატრის შენობას აგებდნენ.

ბაზრის მხრიდან მომავალ ერთ მაღალსა და მეტად მოხდენილ ქალს შევასწარ თვალი.

ის არის! — ჟრუანტელმა დამირბინა და მუხლებში სიძაბუნე ვიგრძენი. იმ წუთში ვიგრძენი სიყვარულის ნამდვილი უკვდავება.

მერიმ მიცნო. შეკრთა, დაიბნა, გაწითლდა. ერთ წუთს შედგა და საით წასულიყო აღარ იცოდა, ბოლოს დახარა თავი და სახეალეწილმა მე და ჩემს მეგობარს გვერდით ჩაგვიარა სწრაფი ნაბიჯით.

— ნეტა რა დაემართა? — მხრები აზიდა ჩემმა მეგობარმა, — ამ ქალს სალამს ვერ ვასწრებდი ხოლმე და ნეტა ახლა რა დავუშავე?

ჩემს მეგობარს მართლა არაფერი დაუშავებია, მაგრამ ერთი კი იყო საკითხავი: მე რაღა დავუშავე?



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს პატარა, ლამაზი სახლები წიწილების ადგილსამყოფელია.

ფოტო ი. ხალიპისა

# სამგორის ველზე

სამგორის ველზე, ერთ დროს ქარისა და სიცხის სამფლობელოში, უკანასკნელ წლებში გაშენდა მრავალი საბჭოთა მეურნეობა. მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა მეფრინველეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობაა. წარსულში უწყლო, გამოუყენებელ მიწებზე მეფრინველეობის მუშაკებს დღეს საკვები კულტურის უხვი მოსავალი მოჰყავთ. განსაკუთრებით გაიზარდა მეურნეობა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში.

მეურნეობის ტერიტორიაზე, რომელიც ათას ორას ოცდარვა ჰექტარს მოიცავს, გაჩნდა ახალი საცხოვრებელი სახლები, მიდამო მწვანე ნარგავებით შეიმოსა, მოასფალტებული გზატკეცილებით დაიხერა. სამგორის ველის დაუცხრომელ ქარს, ქარსაცავი ზოლები გადაეღობა წინ. მეურნეობა გაჩირაღდნებულია ელექტრონათურებით, მოსახლეობა უზრუნველყოფილია ბულაჩაურის ანკარა წყლით.

სულ მოკლე დროის განმავლობაში შეიქმნა ყველა პირობა მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის სრული სიმძლავრით ასამოქმედებლად.

855 ათასი კვერცხი და 70.000 ფრინველი! — ასეთი იყო ამ მეურნეობის გასული წლის შედეგები.

კომუნისტური პარტიის მოწოდებამ—უახლოეს წლებში დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, სამგორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. მეურნეობის კოლექტივმა, გაითვალისწინა რა, რომ ხორცის წარმოების თვალსაჩინო რეზერვს კარგად განვითარებული მეფრინველეობა წარმოადგენს, ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრა. 1957 წელს მეურნეობამ ყველა დავალებანი წარმატებით შეასრულა, დახმარება გაუწია მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურებსა და კოლმეურნეობებს სანაშენო კვერცხით, წიწილებითა და სხვ.

სამგორის მეფრინველეობის მეურნეობაში დღეს ბევრი მოწინავე მუშაკი საქმიანობს, რომელთაც თავიანთი ენერგიული შრომით საპატიო წვლილი შეაქვთ კოლექტივის მიღწევაში. ასეთები არიან შუშანა დოლიძე, თამარ ზითინაშვილი, რაია კურსუნსკაია, მარია ლიხაჩოვა, ასია ასხაბოვა და სხვები.

მიმდინარე წელს მეურნეობის მთელმა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გამოკვებოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 180.000 კილოგრამი ფრინველის ხორცი და ერთ ნახევარი მილიონი კვერცხი.

სამგორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობას დიდი და საპატიო მოვალეობა აკისრია — მიაწოდოს თბილისისა და რუსთავის მოსახლეობას ახალი კვერცხი, ფრინველის ხორცი, ამ ამოცანის სასახელოდ შესრულებისათვის დარაზმულია დღეს მეურნეობის მთელი კოლექტივი.

წიწილები „საუზმეზე".





თბილისი. რუსთაველის პროსპექტი. ფერადი ფოტო მ. მიხაილოვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მოსკოვში მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა თბილისის თეატრთა ახალმა სპექტაკლებმა. დეკადამ გვიჩვენა რომ ქართული თეატრალური კულტურის მდიდარი ტრადიციები კიდევ უფრო გამდიდრდა და აყვავდა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში


ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი— „რიჩარდ III“



ოპერისა და ბალეტის თეატრი — „დაისი“


ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიბოედოვის სახელობის თეატრი — „ჭექა-ქუხილის წელი“ ვ. ი. ლენინის (საქ. სსრ სახალხო არტისტი კ. მიუფკე) შეხვედრა გლეხებთან



რუსთაველის სახელობის თეატრი — „ოიდიპოს მეფე“


ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. საქნახშირის შენობის ხედი. ფერადი ფოტო თ. არჩვაძისა.

# ქართველები ირანში

ირაკლი კანდელაკი

ვიდრე ჩემი მოგზაურობის აღწერას შევუდგებოდე, სასურველად მიმაჩნია მოკლედ მოვიგონოთ ქართლ-კახეთის აწიოკება შაჰ-აბასის მიერ.

1616 წლის გაზაფხულზე შაჰ-აბასი მრავალრიცხოვანი ლაშქრით კახეთის მოსასპობად წამოვიდა. დადგა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. ბრძოლამ ერთ წელიწადს გასტანა. თავისუფლების დამცველი ქართველი ხალხი გმირულად იბრძოდა, მაგრამ მტრის სიმრავლემ მაინც სძლია.

იმ შემოსევის დროს კახეთმა მოსახლეობის ორი მესამედი დაჰკარგა, ასი ათასამდე კაცი მტრის ხმალს შეაკვდა, ამდენივე ტყვედ წაიყვანეს ყიზილბაშებმა. კახელი ტყვეები ირანს გარეკეს. მათი ნაწილი შაჰ-აბასმა შიდა-ირანის სხვადასხვა კუთხეში დაასახლა. უცხოეთში თავის ტომს მოწყვეტილი ქართველები თანდათან გადაგვარდნენ, მხოლოდ მცირე ნაწილმა (ფერეიდანში) დღემდე შეინარჩუნა დედა-ენა. კიდევ უფრო უარესი იყო დანარჩენი ტყვეების ბედი, ისინი სპარსელებმა მონებად გაჰყიდეს.

* * *

1944 წლის პირველ აპრილს თბილისიდან ავტომანქანით გავემგზავრე სპარსეთში. ჩვენს წინაშე იდგა ფრიად პასუხსაგები ამოცანა — ჩავსულიყავით ფერეიდანში, გვენახა 328 წლის წინათ დასახლებული ქართველები და შეგვესწავლა მათი ყოფაცხოვრება.

მესამე დღეს ჩვენ უკვე თავრიზში ვიყავით. თავრიზიდან გავემგზავრეთ თეირანს. თეირანიდან ისპაჰანამდე 504 კილომეტრია. ამ მანძილის დაფარვას ჩვენ ორი დღე მოვუნდით. უკვე დაბინდებული იყო, როცა ისპაჰანში შევდიოდით. ქალაქის განაპირას, ერთი ქუჩის გადასახვლელზე, ირანელი პოლისმენი გზაზე გადაგვეღობა და ხმამაღლა სპარსულ ენაზე ბრაზიანი კილოთი დაგველაპარაკა. ხელებზე თეთრი ხამაჯურები ჰქონდა, როგორც შემდეგ გამოვარკვიეთ, რეგულიატორი იყო. ალბათ, ჩვენ მიმოსვლის წესი დავარღვიეთ და ამიტომ გაგვაჩერა. ჩვენ ერთმანეთს ვერაფერი ვერ გავუგეთ. მე შოფერს ვუთხარი, განეგრძო გზა. პოლისმენი მაინც არ მოგვეშვა. მე ჩემთვის ჩავილაპარაკე ქართულად — რა გააჭირა ამ კაცმა საქმე-მეთქი! — ამ სიტყვების შემდეგ პოლისმენი შემოახტა მანქანის კიბეს და დამიწყო ქართულად ლაპარკი.

— ქართველი ხარ? შენი ჭირიმე, მეც ქართველი ვარ, თქვენი სისხლი და ძვლები, ფერეიდნელი ვარ, სოფელ ავჭალიდან, სად მიდიხართ?

ახეთი გულთბილი შეხვედრა ჩვენთვის მოულოდნელი იყო. მეც ავღელდი, არ ვიცოდი, საიდან დამეწყო მასთან ლაპარაკი, ჩვენ მალე დავმეგობრდით, პოლისმენი აღმოჩნდა გვარად ხუციშვილი.

საკონსულოსთან მივედით, დავემშვიდობეთ ახლად შეძენილ მეგობარს, გამოთხოვებისას მან მითხრა:

— თუ შეიძლება, ხვალ მოვალ თქვენთან. ისპაჰანში კიდევ ოთხი ქართველი მუშაობს და მათაც შევატყობინებ, რომ თბილისიდან ჩამოსულხართ ქართველები.

მე თანხმობა მივეცი.

ისპაჰანში უნდა შევხვედროდით რამდენიმე ქართული სოფლის ბატონპატრონს ჰუსეინ დავითაშვილს, ოფიციალურად იგი იწერება დათხო დავითაშვილად, ზამთრობით ცხოვრობს ისპაჰანში, ზაფხულობით კი ფერეიდანში, სოფელ ფორელში.

მეორე დღეს, დილის 10 საათზე, ფერეიდნელი ქართველები მართლაც მოვიდნენ ჩვენთან. ვზივართ ჩვენი საკონსულოს ერთ-ერთ ოთახში, ვუცქერით ფერეიდნელებს. თვალს არ სჯერა, რომ აქ, ირანის ძველ სატახტო ქალაქ ისპაჰანში, ველაპარაკებით სამშობლოს მოწყვეტილ ქართველებს.

მათთან საუბრით აშკარა გახდა, რომ ფერეიდნელებს არავითარი წარმოდგენა არა აქვთ დღევანდელ საბჭოთა აყვავებულ საქართველოზე, ირანელ ყიზილბაშებს 328 წლის განმავლობაში ყველაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ იქ გადასახლებულ ქართველებს დავიწყებოდათ თავიანთი სამშობლო — საქართველო, დავიწყებოდათ დედა-ენა, მოესპოთ ქართული ზნე-ჩვეულება, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ ფერეიდნელმა ქართველობამ არ უღალატა თავიანთ სამშობლოს და დღემდე კარგად შეუნახავთ ენა, ზნე-ჩვეულებანი. დღესაც ღვივის მათში სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული. ჩვენ შევთანხმდით, რომ სამი დღის შემდეგ ერთად წავიდოდით ფერეიდანში. ამით დამთავრდა ჩვენი პირველი შეხვედრა.

ჩვენ წინ დგას ჰუსეინ დავითაშვილი: მაღალი, შავგვრემანი ადამიანი, დაახლოებით 31-32 წლისა. გველაპარაკება მძიმედ, ხმადაბლა, ეტყობა, უჭირს ქართული ლაპარაკი, მაგრამ მაინც შეიძლება მასთან ბაასი. თვითეული სიტყვის გამოთქმას უკვირდება. ჩემს შეკითხვაზე, თუ ვინ უკეთ იცის ენა, მან თუ გლეხობამ — დავითაშვილს ცოტა არ იყოს შერცხვა. სახეზე სიწითლე მოეკიდა.

შევთანხმდით, რომ ისიც წამოვიდოდა ჩვენთან.

დავნიშნეთ დღეც. 1944 წლის 14 აპრილს უნდა გავხულიყავით ქალაქიდან, ეს დღე ჩვენთვის ყველაზე საინტერესო იყო, გავივლიდით 80-100 კილომეტრს და ვნახავდით ფერეიდნელ ქართველობას.

გათენდა. დილით ადრე მოვიდა დავითაშვილი თავისი ორი შეიარაღებული მოურავისა და ერთი მოსამსახურის თანხლებით. ჩავსხედით მანქანაში. ისპაჰანიდან 40-50 კილომეტრის გავლის შემდეგ გზატკეცილი თავდება და იწყება ჩვეულებრივი სასოფლო გზა. ამის შემდეგ, ცოტა არ იყოს, მოგზაურობა ძნელდება ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, გზა არ ვარგა, მეორე ის, რომ ქურთებისა და ბახტიარების ბანდები დათარეშობენ და ძარცვავენ ყველას. ჩვენ ეს წინასწარ გავითვალისწინეთ და ყოველმხრივ შევიარაღდით. უკვე გავიარეთ 80 კილომეტრი. შევდივართ მთაგორიან ადგილებში. ჰაერიც კარგია, არც ცხელა. გული არ მითმენს, ყოველ წუთს ვეკითხები დავითაშვილს, მივედით თუ არა, იგი ჩვეულებრივი სიდინჯით მიპასუხებს:

— ცოტა კიდევ და მივალთ ჩვენს სოფელში...

მარჯვნივ მთის კალთებზე, შევამჩნიე ორი პატარა ლამაზი სოფელი, რომლებიც ბაღებში იყვნენ ჩამალულნი. მე ჰუსეინს მივმართე:

— ეს რა ლამაზი სოფლებია, ქართველები ხომ არ ცხოვრობენ?

ჩემს შეკითხვაზე დავითაშვილმა სიცილი დაიწყო... ისე იცინის, რომ ხულს ვერ ითქვამს.

— ჰუსეინ ბატონო, რა გაცინებთ, რა მოხდა ახეთი?

ჰუსეინმა ასე მიპასუხა:

— ერთი კვირის წინათ ეს ორი სოფელი ბანქოში წავაგე. აფსუს, რა ლამაზი სოფლებია, არა უშავს-რა! სამაგიეროდ მაგის პატრონს შარშან 5 სოფელი მოვუგე ნარდში!

ამ ამბავმა ძალიან გამაოცა. რა უცხოა საბჭოთა ადამიანისათვის ახეთი სიტყვები: „ორი სოფელი წავაგე", „ხუთი მოვიგე"... და ამას გიყვებიან სიცილით...

აგერ ჰორიზონტზე გამოჩნდა საკმაოდ დიდი მთა, რომლის მწვერვალები ჯერ კიდევ თოვლითაა შევერცხლილი. ამ მთის ქვევით მოჩანს სოფლები. აქ მხოლოდ ახლა ყვავის ხეხილი, ხეებსაც ახლა გამოაქვთ ფოთლები, ჯეჯილიც ნორჩია. ყველაფერი ეს იმას ადასტურებს, რომ ფერეიდანი მთაგორიანი ადგილია. ისპაჰანში უკვე ბაღი მწიფდება, აქ კი მხოლოდ ახლა იწყება ყვავილობა.

შევდივართ ფერეიდანის ერთ-ერთ სოფელში.

— ეს ჩემი სოფელია, ფორელი ჰქვიან, მეც აქა ვცხოვრობ. აქ ყველა ქართველია გარდა ორი-სამი კომლისა, —მეუბნება ჰუსეინი.

ვღელავ, ნუთუ უკვე მივედით! სპიდომეტრმა გვიჩვენა, რომ თითქმის ორი ათასამდე კილომეტრი გავიარეთ თბილისიდან, აი, ბოროტ შაჰ-აბასს სად გადმოუსახლებია ქართველები!

მანქანა გაჩერდა ერთი დიდი სახლის წინ. ბავშვები და ადგილობრივი მცხოვრებლები შემოესიენ მანქანას. გლეხობის დიდი ჯგუფი ესალმება ბატონს, ხელზე ჰკოცნიან დიდი მოწიწებით. თვალს არ სჯერა. ზოგს ხელსაც არ აძლევს ჰუსეინი საკოცნელად. ამის უფლება ყველას როდი აქვს თურმე.

ჰუსეინმა ჩვენი თავი გააცნო გლეხობას. გაიცანით ეს ჩვენი ძმებია დიდი საქართველოდან, სტუმრად ჩამოვიდნე-

სოფელ ზემო მარტყოფის ქართველი ახალგაზრდების ერთი ჯგუფი.





ბატონი ჰუსეინ დავითაშვილი განცხრომაშია. სამაგიეროდ მის წინ დამხობილ მოჯამაგირეებზე ეს არ ითქმის.

ნო. ენა ვერ ასწერს, რა სიხარულით და სიყვარულით მიგვიღეს. ყველა ახლო მოიწევს, ხელს გვართმევს, გვლოცავს, რაღაცას გვეკითხება, ზოგი ხელს გვისვამს ტანისამოსზე, ყველა ერთხმად გაიძახის — აკი საქართველო აღარ არისო!

ჰუსეინმა მიმართა გლეხობას:

— აბა, სტუმრები ახლა დაღლილები არიან, ესენი ჩემთან იქნებიან დიდხანს და კიდევ შევხვდებით, ახლა შინ მიბრძანდით.

ვიდრე სახლში შევიდოდით, კარების წინ ერთი დიდი ყოჩი წააქციეს, დაკლეს, გარდიგარდმო დადეს კარების წინ, გადავალაჯეთ ცხვარს და მხოლოდ ამის შემდეგ შევედით სახლში.

ბატონის სახლი ორსართულიანია, მოზრდილი ეზოთი. ეზოში დიდი აუზია. დაახლოებით 14 ოთახს შეიცავს დავითაშვილის სახლი. მას კიდევ მეორე სასახლე აქვს. ჰუსეინი ისევე ექცევა გლეხობას, როგორც ყველა ბატონი. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ძლიერ უყვარს ქართველი ხალხი.

ფერეიდანი მდებარეობს ისპაჰანიდან 80-100 კილომეტრის დაშორებით. მთაგორიანი ადგილია. სპარსეთის ტერიტორიაზე ვერსად ვერ დავლიე წყაროს წყალი, გარდა ფერეიდანისა. ფერეიდანში სულ თოთხმეტი სოფელია. ჩვენ ყველა სოფელი შემოვიარეთ. მხოლოდ უფრო მეტ ხანს გავჩერდით ზემო და ქვემო მარტყოფში, ავჭალაში, ჩუღურეთში, ბოლნისში და ფორეთში. მოსახლეობის რაოდენობა არაზუსტი ცნობებით 26.000 აღწევს. სოფლებს შორის ყველაზე დიდი და ლამაზია ზემო მარტყოფი. აქ, 5.000-მდე სული ცხოვრობს და ყველაზე კარგად არის დაცული ქართული ენა. დიდი თუ პატარა, ოჯახში თუ გარეთ, ყველა მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს. ჩადრს არავინ არ ატარებს. საკმაოდ ლამაზი ხა[illegible]ჯია. ძლიერ განსხვავდებიან სახით და ფერით სპარსელებისაგან. სპარსელი ქალები მოყვითალო ფერის არიან. ფერეიდანელი ქალები კი მოთეთრო-მოწითალო ფერისა. ალბათ, იმიტომ, რომ 328 წლის განმავლობაში ქართველი ქალი იშვიათად თუ გათხოვილა სპარსელზე, თუ არ ავიღებთ რამდენიმე ერთეულ შემთხვევას. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ არ თხოვდებით სპარსელებზე-მეთქი, ასე მიპასუხეს:

— ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი სისხლი ნამაზია, სპარსელებს კი არეული სისხლი აქვთო.

იქაური მამაკაცები მაღალი, მხრებგანიერი, შავთვალწარბანი არიან. აქვთ არწივისებური ცხვირი. აქ შემხვდა შემდეგი ქართული გვარები: ხუციშვილი, პაპიაშვილი, ლაფერაშვილი, სააკაშვილი, იოსელიანი ამირანაშვილი, დავითაშვილი, ლურსმანიშვილი და სხვ. დაახლოებით სულ 17 ქართული გვარი ჩავიწერე, შესაძლებელია ზოგი გვარი გამომრჩა. წყაროსთვისაც მიუციათ ქართული სახელები: ხუციაანთ წყარო, ლაფიაანთ წყარო და სხვ.

ბოლნისელი პაპიაშვილი თავის ნახელავ ჭურჭელს თავაზობს მყიდველებს.



ფერეიდნელი ქართველები დიდ სილატაკეს განიცდიან. მიწის დიდი სიმცირეა. მოსავლის ერთი მეოთხედი ან მეხუთედი გლეხისაა, დანარჩენი კი ბატონისა. რაც მოჰყავთ ყოფნით მხოლოდ სამ-ოთხ თვეს. გამრავლების მაგიერ ფერეიდნელი ქართველები თანდათანობით მცირდებიან. 100.000 ქართველიდან, რომელიც შაჰ-აბასმა გარეკა, დიდი წვალებისა და ტანჯვის შემდეგ, ადგილზე ჩაუწევია 70.000-ს, დანარჩენი გზაში დაღუპულა. განსაკუთრებით დიდი მსხვერპლი ყოფილა ადიდებულ არაქსზე გადასვლის დროს. ირანის ხელისუფალნი სდევნიან ქართულ ლიტერატურას. სდევნიან, აგრეთვე, ქართულ ენას. მიუხედავად ამისა, ფერეიდანში დღესაც ბევრს აქვს შემონახული ქართული წიგნები. ცნობილია, რომ როდესაც ფერეიდნელი ქართველი სეიფულა იოსელიანი საქართველოდან დაბრუნდა ფერეიდანში, მან ერთი თვის შემდეგ გახსნა ზემო მარტყოფში ქართული სკოლა. ეს ამბავი ირანის ხელისუფალთ არ ესიამოვნათ. მათ მზაკვრული ხერხით თავიდან მოიშორეს მისი ინიციატორი ქართველი იოსელიანი და



ფერეიდანში ყველაზე კარგად ქართული წერა-კითხვა მამადხან პაპიაშვილმა იცის.

სკოლა დაკეტეს. სრულიად ჯანსაღი ადამიანი სეიფულა იოსელიანი უეცრად მოიწამლა და გარდაიცვალა, საიდუმლოებით მოცულია მისი სიკვდილის ამბავი და ეს კარგად იციან მისმა შვილებმა.

განათლების მხრივ ფერეიდნელები ძლიერ ჩამორჩენილი არიან. ორმასამმა კაცმა თუ იცის წერა-კითხვა. ყველაზე კარგად წერა იცის მოლა პაპიაშვილმა. ქართული სიმღერები უკვე დაკარგულია. მხოლოდ იავ-ნანალა შემონახულა. ხშირად გაიგონებთ, დედა ნანას ეუბნება აკვანში მწოლიარე ბავშვს. ქართული ჭიდაობა ერთ-ერთი საყვარელი გართობაა აქ. დღესაც კარგად შემონახულია შუაკაური, გარე სარმა, მოგვერდი.

ბოლნისში გლეხობა შემეკითხა: — ვინ არის საქართველოს მეფეო. — ჩვენში დიდი ხანია მეფე და ბატონები აღარ არსებობენ. ახლა ყველაფერი ხალხს ეკუთვნის-მეთქი, — ასე ვუპასუხე ბოლნისელებს. ამ ამბავმა ძლიერ გააკვირვა ისინი.

— განა შეიძლება უბატონოდ და უმეფოდ ცხოვრებაო?! — გაოცებით ამბობდნენ ფერეიდნელი გლეხები.

სოფლის მეურნეობის რაიმე მექანიზაციაზე ლაპარაკი ზედმეტია. იქ წარმოდგენა არც კი აქვთ ტრაქტორსა და კომბაინზე. სოფლის

ასე იძენენ ცოდნას სკოლაში ფერეიდნელი ბავშვები.



მეურნეობა პირველყოფილ მდგომარეობაშია. აქვთ ხილის ბაღები, ვენახის პატარა ნაკვეთები და ბოსტნები. ვინაიდან ფერეიდანი მაღალია, აქაური ღვინო მდარე ხარისხისაა. საქართველოდან ვაზის სიყვარული თან გაჰყოლიათ ფერეიდნელებს. ისინი დიდი ერთგულებით და მოკრძალებით უვლიან ვენახებს. ჩვენი მისვლის დროს გახურებულ ბარვაში იყვნენ. ბარები აქვთ ქართული, იქაური მჭედლების მიერ გაკეთებული. მესაქონლეობასაც მისდევენ, მაგრამ ნახირის გამრავლებას არ ცდილობენ მიწისა და საძოვრების სიმცირის გამო. გარდა ამისა, ზაფხულობით, ქურთები მთებისაკენ მოდიან, ქართველებს ხშირად თავს ესხმიან და საქონელს სტაცებენ. მათთან გამკლავება ქართველებს ძლიერ უჭირთ, რადგან ქურთები კარგად არიან შეიარაღებულნი, ქართველები კი ნაკლებად. სპარსელები ფერეიდნელებს იარაღის ტარების უფლებას არ აძლევენ.

სოფელ მარტყოფში ერთი სახლის წინ შევამჩნიეთ, თუ როგორ დღვებავდნენ კარაქს ქალები, სადღვებელი ისეთივეა, როგორსაც ახლა ვხმარობთ. ქართული ზნე-ჩვეულებები ბევრი შემონახულა, მაგალითად, თონეში კახურ შოთებს აცხობენ. მიუხედავად იმისა, რომ რჯულით მაჰმადიანები არიან, ჯვარს უსვამენ პურზე. ასეთ თონეებს სპარსეთში ვერსად შეხვდებით, გარდა ფერეიდანისა.

სოფ. ბოლნისის მცხოვრებლები მეჭურჭლეობასაც მისდევენ. აქ შეხვდებით ქართულ ლიტრას, კოკას და ქვევრებს. ამავე სოფელში ვნახეთ კუსტარული წესის სამჭედლოები, სადაც ბლომად აკეთებენ ქართული ტიპის ბარებს, თოხებს, ნალებს და სხვა. საწარმოო იარაღები, კავ-გუთანი, ურმები ძველი ქართული ტიპისაა, ძაფს ართავენ თითისტრებით. ბევრი ჯარასაც ხმარობს. მრავალი ოჯახი თავს ირჩენს ხალიჩების, თოკებისა და ფარდაგების ქსოვით. ფერეიდნელი ქალის მოქსოვილი ხალიჩა კარგ ფასად იყიდება სპარსეთში. ირანელი ვაჭრები წელიწადში ორ-სამჯერ ჩადიან ფერეიდანში და ბლომად იძენენ ქართველი ქალების მოქსოვილ ხალიჩებსა და ფარდაგებს. სახლები უმთავრესად ბანიანია. შეხვდებით დედაბოძებს მშვენიერი ჩუქურთმებით. თითქმის ყველას აქვს პურის შესანახი კიდობანი. თაროებზე აწყვია სპილენძის ან თიხის ჭურჭელი.

სოფ. ავჭალაში ვნახეთ ჩვეულებრივი ჩვენებური ქოთანი, რომელშიც ლობიოს ხარშავდნენ. საჭმელები თითქმის ქართულია. აკეთებენ მწვადს,



სოფელ ფორელის გოგონები გულისყურით ათვალიერებენ ქართულ წიგნს. მართალია მათ კითხვა არ იციან, მაგრამ სურათები მაინც საინტერესოა.

ხაშს, ხინკალს, ყაურმას, წნილიც ხშირად შეგხვდებათ ქართველთა სუფრაზე. ქალები და ბავშვები ოჯახში ერთმანეთს ქართულად ელაპარაკებიან. ენა ყველგან ერთნაირად არ არის შენახული. მაგალითად, სოფ. ჩუღურეთში ნახავთ ისეთ ქართველს, რომელსაც ძლიერ უჭირს მშობლიურ ენაზე ლაპარაკი. ჩვენ თან ჩავიტანეთ ქართული ლიტერატურა. დარიგების დროს დიდი ინტერესი გამოიჩინეს, ყველა ცდილობდა მეტი წიგნი მიეღო. სოფ. ფორელში ჩხუბიც კი მოუვიდათ. ჩვენ პატეფონი წავიღეთ, რამდენიმე ახეული სიმღერის ფირფიტებით. ჩვენს მიერ ჩატანილ პატეფონს დიდი ყურადღებით უსმენდნენ. იყო შემთხვევა, სოფ. ავჭალაში დილიდან საღამომდე უსმენდნენ ქართულ სიმღერებს, განსაკუთრებით მოეწონათ მარო თარხნიშვილის გუნდის სიმღერები.

ქართული ენა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ზოგიერთ სოფელში კარგადაა შენახული. მართალია ისიც, რომ დროთა განმავლობაში ქართულ ენაზე დიდი გავლენა მოუხდენია სპარსულს.

ლაპარაკის დროს ფერეიდნელი ქართველები ხმარობენ „ყეს“, „თეს“, როგორც ახლანდელ კახეთში. მაგალითად, „წავიდეთ ყე“, „მოვიდა ყე“ და სხვა. ჩაცმულობის მხრივ ვერაფერ ქართულს ვერ ნახავთ. მხოლოდ რამდენიმე გლეხს ეცვა განიერი ქართული შარვალი. მოსახლეობის დიდი ნაწილი ძონძებშია გახვეული, განსაკუთრებით ბავშვები.



სოფელ ჩუღურეთის მცხოვრებლები — ძმები ლაფერაშვილები სიამოვნებით დაგვთანხმდნენ სურათის გადაღებაზე.

ამ ბოლო ხანში ირანის ხელისუფლებამ ზემო მარტყოფში გახსნა სპარსული სკოლა. სოფელ ფორელში მოლა ონიკაშვილი ქართველ ბავშვებს ქართული ენის მეშვეობით ასწავლის სპარსულ ენას. სხვათა შორის, ონიკაშვილმა კარგად იცის ქართული ენა. თუმცა სხვა მხრივ იგი სულ გადაგვარებულია. სოფელ ბოლნისის მოლა პაპიაშვილი მთლიანად განსხვავდება ონიკაშვილისაგან. იგი კულტურული ადამიანია. მან კარგად იცის ქართული ენა. მასზე უკეთესად არავინ არ სწერს. მისი თაოსნობით საქართველოში წამოვიღეთ პირველი ქართული წერილი, რომელიც ჩავაბარეთ საქართველოს ისტორიის მუზეუმს. წერილი შემდეგი შინაარსისა იყო:

— „გამარჯობათ ქართველებო, გისურვებთ მტერზე გამარჯვებას, ნაზად იყოს ჩვენი მამა ბატონი სტალინი“.

ამ წერილის დაწერას ესწრებოდა 200 კაცამდე. აუწერელია ის სიხარული, როდესაც პაპიაშვილმა წაუკითხა წერილი იქ დამსწრე ქართველობას.

ძეგლების მხრივ ფერეიდანი ძლიერ ღარიბია, მაგრამ მაინც შევხვდებით ზოგიერთ რამეს. მაგალითად, სოფ. ბოლნისში ყოფილი ეკლესია გადაუკეთებიათ მეჩეთად, ფორმა კი ისევ ქართული ეკლესიისა აქვს, ჯვარის გამონაკლისით. სოფელ ფორელში ციხე-კოშკები აუგიათ, რომლის ქვათა წყობა ისეთივეა, როგორც ახლანდელს კახეთში. ძეგლებიდან ყველაზე ღირსშესანიშნავია ძველი სასაფლაოები. ასეთ სასაფლაოებს შეხვდებით ქ. ისპაჰანის მეორე მხარეზე ახალ ჯულფაში, სადაც სომხებს გაუშენებიათ ახალი ქალაქი. აქაური ეკლესიების შენობაში და სასაფლაოზე ქართველთა მრავალ საფლავს ნახავთ. იქაური სასაფლაოების წარწერები თითქმის ყოველთვის მრავლობითი რიცხვით იწყება.

„უფალო, იხსენი ქრისტიანები“ და სხვა...

გასაგებია ასეთი წარწერები ქართველისათვის. ამას ბევრი ახსნა-განმარტება არ ესაჭიროება. როგორ შესძლო 328 წლის განმავლობაში სამშობლოს მოწყვეტილმა ფერეიდნელმა ქართველობამ დღემდე შეენარჩუნებინა დედაენა, ზნე-ჩვეულებანი. განა უბრალო ამბავია, რომ დღემდე, როგორც კანონი, ფერეიდნელი ქალი სხვა ერის კაცზე არ თხოვდება?

ახლა ფერეიდნელმა ქართველობამ კარგად იცის, რომ არსებობს აყვავებული საბჭოთა საქართველო, რომელიც აშენებს ახალ, ბედნიერ ცხოვრებას.

ეს პატარა ბიჭი მარტყოფელი ხუციშვილია. სურათიდან ჩანს, თუ რა ჯაფა აწევს კისერზე ამ მცირეწლოვანს. შედეგი? მოსავლის ნახევარი ბატონს მიაქვს!





გალვანურ საამქროში. საამქროს უფროსი მ. გილელსი და მუშა მ. პარონიანი მუშაობის დროს.

# ოქრომჭედლობის ოსტატები

საქართველოში უხსოვარ დროიდან მისდევდნენ ოქრომჭედლობას. ჩვენში ოქრომჭედლობის დიდ წარსულზე მეტყველებს უამრავი არქეოლოგიური ძეგლი. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ოქროსა და ვერცხლის მაღალი გემოვნებით შესრულებული ნაკეთობანი.

1934 წლიდან თბილისში დაარსდა საიუველირო ფაბრიკა. ფაბრიკაში ერთ კოლექტივადაა გაერთიანებული ჩვენი რესპუბლიკის საიუველირო საქმის თითქმის ყველა გამოჩენილი სპეციალისტი.

და აი, ვათვალიერებთ ახლა ჩვენ ამ უნიკალურ საწარმოს კორპუსებს, საამქროებს, ლაბორატორიებს...

პირველი შთაბეჭდილება, რამაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო, ესაა აბსოლუტური სიწყნარე. აქ არავის აწუხებს მანქანების გუგუნი და ყურის წამღები ხმაური, როგორც ამას ადგილი აქვს ლითონდამმუშავებელ საწარმოებში.

თბილისის საიუველირო ფაბრიკა ამჟამად ოქროსა და ვერცხლის სამოცამდე სახის ნაწარმს უშვებს. ფაბრიკის კოლექტივმა შარშან გეგმის გადამეტებით ათი მილიონი მანეთის ღირებულების სამკაული გამოუშვა. აქ დამზადებული ქართული ორნამენტებით დამშვენებულ სუვენირებზე დიდი მოთხოვნილებაა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქების საიუველირო მაღაზიებში.

წელს, ფაბრიკას დაევალა აითვისოს და მასობრივი მოხმარებისათვის გამოუშვას ქართული, ნაციონალური სუფრის სერვიზი: სურები, ყარყარები, ჰინჰილები, აზარფეშები, ფიალები. ეს დავალება წარმატებით შეასრულეს თბილისელმა ოქრომჭანდაკებლებმა და ფაბრიკა უკვე შეუდგება მათ სერიულ გამოშვებას.

— აქეთ მობრძანდით, — გვეუბნება ფაბრიკის დირექტორი ამხ. გოგოლაძე და გალვანურ საამქროსაკენ მიგვიძღვება. ეს საამქრო სამედიცინო ლაბორატორიას უფრო ჰგავს, ვიდრე საწარმოო კორპუსს. ერთ მხარეს პირამდე ოქროს ხსნარით სავსე თეთრი ფილის აბაზანებია ჩამწკრივებული, სადაც წარმოებს ნივთების მოოქროვება. მეორე მხარეს, გამართულ მარმარილოს გრძელ დაზგებზე, მოოქროვებული ნივთების მთელი ზვინებია დახვავებული.

ფაბრიკის ლაბორატორიაში უხმოდ დაფუსფუსებენ თეთრხალათიანი გოგონები, აქ უზუსტესი სასწორებისა და ქიმიური ანალიზების საშუალებით აზუსტებენ ამა თუ იმ ნაკეთობაზე დახარჯულ ოქროს რაოდენობას, ამოწმებენ თვითეულ საიუველირო ნაწარმის ხარისხს.

აქაც შემოუღწევია მექანიზაციას. თითქმის ყველა სახის ვერცხლის ნაწარმს და ოქროს ნივთების ზოგიერთ დეტალს მექანიზებული წესით ამუშავებენ. ეს მექანიზმებიც აქვე, ფაბრიკის საიარაღო საამქროში მზადდება. მრავალნაირ ტვიფრებს, ყალიბებს, ხელსაწყო-იარაღებს ამზადებს ეს საამქრო, რომ შრომის ნაყოფიერება გაიზარდოს, ნაკეთობათა თვითღირებულება შემცირდეს.

სპეციალურ ოთახში, რომელიც ვენტილატორების მსხვილი მილებითაა დასერილი, ორიგინალურ დანადგარებს უსხედან ლურჯხალათიანი ქალები, ამ დანადგარების საშუალებით მექანიზირებულია ოქროს ნაკეთობათა გაპრიალება.

— ეს ვენტილატორები, — გვიხსნის ამხ. გოგოლაძე, — ნთქავენ ნივთის გაპრიალების შედეგად წარმოშობილ ოქროს მტვერს, რომელიც მეორე ოთახში დადგმულ სპეციალურ პატარა ყუთში გროვდება. ეს ოთახი და ყუთი დაკეტილ-დალუქულია. აქ ყოველთვიურად თითქმის ერთ კილოგრამამდე ოქროს მტვერი გროვდება. ყუთს დროდადრო ვხსნით და ოქროს მტვერს ხელმეორედ გადასადნობლად ვაბარებთ. ასე რომ ჩვენთან ოქროს არც ერთი მისხალი არ იკარგება.

აქედან ვრცელ კორპუსში გადავდივართ. ხის გრძელ დაზგებთან ჩამწკრივებულან იუველირები. ყოველი მათგანის წინ დახვავებულა სხვადასხვა სახისა და მოყვანილობის ოქრონაკეთობანი: ნაირ-ნაირი სამაჯურები და ძეწკვები, ძვირფასთვლებიანი ბეჭდები, მრავალფრად მოოჭვილი გულქანდები, საყურეები, მედალიონები, თეთრ-შავად მომინანქრულ-მოზარნიშებული ჰიქები, სურები, ფიალები, ჰინჰილები.

— ეს ჩვენი ოქროს საამქროა, — ამბობს გოგოლაძე, — ამ საამქროში მხოლოდ ოქროს ნაწარმს ამზადებენ, მაგრამ აქაურ ადამიანებსაც ოქროს ხელი აქვთ, აი ერთ-ერთი მათგანი, — გვეუბნება იგი და გვაცნობს საშუალო ტანის კაფანდარა მოხუცს, საიუველირო საქმის სახელოვან ოსტატს, 71 წელს გადაცილებულ გიორგი ჰიჰინაძეს.

გიორგის ხელში ათასნაირად იცვლიან სახეს ძვირფასი ლითონები და თვლები და უმალ მომჯადოებელ ნივთებად იქცევიან. ოქროს ქანდაკების ოსტატი თავის თავზე ენაძუწწობს, ხამავეიროდ მის ჯადოქრულ ხელს ამხელენ მის მიერ დამზადებული ნივთები.

შორს, ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც არის ცნობილი სახელოვანი ოსტატების — ლევი გარუნ ბატიროვის, სომეხი არტაშ მარტიროსოვის და სხვების მიერ დამზადებული სუვენირები და ოქროს ნაკეთობანი.

საიუველირო ფაბრიკის გამოჩენილი ოსტატები აგრძელებენ ქართული ოქრომჭედლობის სახელოვან ტრადიციებს, ისინი დაუღალავად გადასცემენ ახალგაზრდებს ოქროქანდაკების საქმეში თავიანთ მდიდარ გამოცდილებას, რომელიც მათ მამა-პაპიდან მოსდგამთ.

თბილისის საიუველირო ფაბრიკა ჩვენი რესპუბლიკის ოქრომჭედელთა ახალგაზრდა კადრების სამჭედლოა.

**ამირან ნიჩუა**

ფოტო ვლ. ბინზბურგისა

ეროვნული ბიბლიოთეკა





## პედაგოგი, ჟურნალისტი, ბიბლიოთეკარი

წელს ოთხმოცდამეხუთე გაზაფხულს შეხვდა თბილისელი მკვიდრი, ძველი პედაგოგი, ჟურნალისტი და ბიბლიოთეკარი ნინო ენუქიძე. ნინოს 1898 წელს ვერის ვაჟთა საკვირაო სკოლაში დაუწყია მუშაობა. ამის პარალელურად იგი მთელი ათი წლის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილში".

ყველაზე ხანგრძლივად ნინო ენუქიძემ ვერის წიგნსაცავ-სამკითხველოში იმუშავა — იგი ოცდაათ წელზე მეტ ხანს ემსახურა თბილისელ მკითხველს.

მცირე იყო მატერიალური დახმარება, რა თქმა უნდა, ეს წინ ვერ წასწევდა სამკითხველოს მუშაობას...

— საბედნიეროდ მე ისე ვიყავი გატაცებული ამ სამკითხველოს ბედ-იღბლით, რომ არ ვზოგავდი მთელს ჩემს ძალ-ღონეს და ენერგიას... ყოველ დილით, კარგი დარი იყო, თოვლ-ჭყაპი თუ ქარბუქი, დავიარებოდი „ჯეჯილის" რედაქციაში იმ ჟურნალ-გაზეთების სათხოვნელად, რომლებიც მე არა მქონდა გამოწერილი. ვიდრე რედაქტორი გადაათვალიერებდა ჟურნალ-გაზეთებს, კორექტურას ვუკეთებდი ჟურნალ „ჯეჯილს"... შემდეგ კი რედაქტორის მიერ უკვე გადათვალიერებულ ჟურნალ-გაზეთებს სამკითხველოში მოვარბენინებდი. გამოვიდოდა თუ არა კარგი ქართული წიგნი, მაშინვე კაი მათხოვარივით მივადგებოდი გამომცემელს და ვთხოვდი წიგნებს ბიბლიოთეკისათვის...

ვერის წიგნსაცავ-სამკითხველომ ჩქარა გაითქვა სახელი. ამ სამკითხველოს წიგნებით მარტო ახლობელი უბნების მაცხოვრებლები კი არ სარგებლობდნენ... აქ მოდიოდნენ: საბურთალოდან, დიდუბიდან, ნაძალადევიდან, კუკიიდან, ავლაბრიდან, ნავთლუღიდან, სოლოლაკიდან, ორთაჭალიდან და, ასე გასინჯეთ ავჭალიდანაც კი.

ვერის წიგნსაცავ-სამკითხველოში ბევრი ქართველი აღიზარდა, რომლებმაც შემდგომ სამშობლოს კულტურულ ცხოვრებაში სასარგებლო და ნაყოფიერი საქმიანობით სახელი გაითქვეს. ამ სამკითხველოში მეცადინეობდნენ: გალაქტიონი, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ვასო გორგაძე, დავით თურდოსპირელი... სამკითხველოს ხშირი სტუმრები იყვნენ: შიო მღვიმელი, გიორგი ქუჩიშვილი, ანა ხახუტაშვილი (ცქვიტი) და სხვანი. მადლიერი მკითხველი ყოველთვის მადლობით იხსენიებდა თავისი საქმისადმი უანგაროდ მოსიყვარულე ნინო ენუქიძეს.

საბჭოთა პერიოდში ძველი ბიბლიოთეკარისა და ამ საქმის დიდი მოამაგის ცხოვრებაც უფრო საინტერესო და მიზანდასახული შეიქნა. საბჭოთა ხელისუფლებამ მრავალჯერ დააფასა მისი ამაგი. 1925 წელს მას მოღვაწეობის 25 წლისთავი გადაუხადა. ამის შემდეგ ეს შესანიშნავი ადამიანი კიდევ დიდხანს ემსახურა თავის მკითხველებს, შემდეგ კი ღრმა მოხუცებულობის გამო პენსიაზე გადავიდა. იგი ახლა პერსონალური პენსიონერია და კმაყოფილია თავისი ბედით, რომ მის სამსახურს უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

ნინო ენუქიძე სტუმრად ი. გრიშაშვილთან. გრიშაშვილიც ხომ მისი ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი იყო.



## წიგნები უსინათლოთათვის

სასწავლო-სახელმძღვანელო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნაში" არის ერთი განყოფილება, რომელიც უსინათლოთათვის სახელმძღვანელოებისა და მხატვრული ლიტერატურის გამოცემის საქმეს ხელმძღვანელობს. დავინტერესდით მათი საქმიანობით და ვესტუმრეთ კიდეც.

დიდხანს ვისაუბრეთ ახალგაცნობილ რედაქტორებთან, მათ შორის ერთ-ერთი უსინათლოა — ვახტანგ ძნელაძე. ვახტანგი აუღელვებლად, მაგრამ დამაჯერებლად იწყებს თხრობას: — საქართველოში უსინათლოთათვის წიგნების გამოცემას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. რუსეთში კი ასეთი წიგნები იბეჭდებოდა რევოლუციამდეც, თუმცა მას მაშინ საქველმოქმედო ხასიათი ჰქონდა... ჩვენთან, საქართველოში ასეთი წიგნების გამოცემა 1953 წლიდან დაიწყო. უსინათლოთა წიგნებს ბეჭდავენ ე. წ. ბრაილის შრიფტით. ეს შრიფტი ფრანგ მოქალაქეს ლუი ბრაილს 1829 წელს გამოუგონებია, რომელსაც მხედველობა 3 წლის ასაკში დაუკარგავს.

ვახტანგთან საუბარში გავარკვიეთ, რომ თბილისში უსინათლოთა სკოლა 1898 წლიდან არსებობს. მაშინ ეს სკოლა სახელმწიფოებრივ ზრუნვაზე არ იყო დაფუძნებული. მაშინ ზედმეტიც იყო ლაპარაკი უსინათლოთათვის სტამბური წესით წიგნების გამოცემაზე.

უსინათლოები სწავლობენ კონსპექტის ჩაწერის წესით. წერენ მარჯვნიდან მარცხნივ, წაკითხვისას კი ფურცელს მეორე მხრიდან კითხულობენ — მარცხნიდან მარჯვნივ. წერა ხდება ჩხვლეტის წესით ლითონის წაწვეტებული პატარა სადგისისმაგვარი ხელსაწყოთი, რომელსაც ბრაილის ფანქარს უწოდებენ. წაკითხვა ხდება ქაღალდზე გაკეთებულ ნაჩხვლეტებზე თითების გაყოლებით. ახლა კი, როცა სკოლა სახელმწიფოებრივი ზრუნვის ქვეშაა მოქცეული, მათ განკარგულებაში ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი წიგნებიცაა. ამ სკოლაში სწავლობდა გამომცემლობა „ცოდნის" ახლანდელი ერთ-ერთი რედაქტორი ვახტანგ ძნელაძე. ვახტანგმა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრებისთანავე სასწავლო-სახელმძღვანელოებისა და მხატვრული ლიტერატურის რედაქტორობას მიჰყო ხელი. იგი განა მარტო რედაქტორული საქმიანობითაა გატაცებული, ვახტანგი ლექსებსაც წერს. მან ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში რამდენიმე ათეული ლექსი მოათავსა. ჩქარა, ალბათ, უსინათლოებიც მიიღებენ ვახტანგის ლექსების კრებულს...

ვ. ძნელაძის რედაქტორობით გამოცემული პირველი წიგნი „დედა ენა" 1958 წელს გამოვიდა.

მიუხედავად იმისა, რომ უსინათლოები ჯერ კიდევ ყველა სახის სახელმძღვანელოთი და მხატვრული ლიტერატურითაც ნაკლებად არიან უზრუნველყოფილნი, 1958 წლიდან ქართულ ენაზე ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი წიგნების საკმაო რაოდენობა გამოვიდა. მრავალ სახელმძღვანელოსთან ერთად გამოცემულია მხატვრული ლიტერატურაც.

**ჯ. ენუქიძე**

რედაქტორები (მარცხნიდან მარჯვნივ): ელგუჯა ქანჩელაშვილი, ვახტანგ ძნელაძე და დავარი ლეჟავა ახალი წიგნის რედაქტირების დროს.



## ერთი მრავალთაგანი

ეს იყო ამ ოცდაათი წლის წინათ. მაშინ პლატონი შვიდწლიანი სკოლის უკანასკნელ კლასში სწავლობდა. უყვარდათ ნიჭიერი ჭაბუკი აღმზრდელებს, განსაკუთრებით კი, მათემატიკის მასწავლებელს — გრიგოლ ცენტერაძეს. გრიგოლი ამ სოფლის გლეხკაცობის ნამდვილ მოამაგედ ითვლებოდა. ერთხელ მასწავლებელმა პლატონის მამას, სამსონ ურჩია, თუ ამ ბავშვის სიკეთე გინდა, ქალაქში გაუშვი, რაიმე ხელობას ისწავლის, თავსაც ირჩენს და სწავლასაც განაგრძობსო.

სამსონი პირველ ხანებში ჯიუტობდა, ეძნელებოდა შვილთან დაცილება, მაგრამ ბოლოს დათანხმდა.

გადაწყდა პლატონის ქალაქში გამგზავრება.

დილით უთენია წამოდგა. პატარა ჩანთა მხარზე გადაიგდო, მშობლებს გამოემშვიდობა და მთიდან ბარში დაეშვა. ჯურუყვეთიდან ლანჩხუთამდე სივალი გზა ისე სწრაფად გაიარა, რომ არც გაუგია. მატარებლის ბილეთი რომ აიღო, დახედა. ბილეთზე პატარა ასოებით ეწერა „ლანჩხუთი-ბათუმი".

პლატონი შეგირდად მოეწყო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობაზე. გულისხმიერი აღმზრდელი ივანე ლისენკო არაფერს იშურებდა და თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებდა მოწაფეს.

ფურცელსაჭრელი და სახვრეტი მანქანები პლატონს მანამდე თვალით არ ენახა. პირველ ხანებში გაუძნელდა კიდეც. ეს შენიშნა ივანემ, აუხსნა, თუ რა დიდი საქმე კეთდებოდა ამ მანქანებით.

— აი, ხედავ იმ მაღალ გორაკებზე გოლიათებივით აღმართულ რეზერვუარებს? — გაიშვირა ხელი ივანემ, — იმას ჩვენ ვაკეთებთ.

შრომასა და სწავლაში სწრაფად მიდიოდნენ დღეები. პლატონს ყოველდღიურად ემატებოდა ცოდნა. მალე ის მეცხრე თანრიგოსანი მუშა გახდა და მთელს მშენებლობაზე გაითქვა სახელი. მისი მონაწილეობით ბარცხანასა და თამარზე აშენდა ნავთობის რამდენიმე ათეული მძლავრი რეზერვუარი.

პლატონს სწავლისადმი წყურვილი და მისწრაფება სულ უფრო უძლიერდებოდა, იგი ღამეებს ათენებდა წიგნების კითხვაში. ბეჯითმა შრომამ სასურველი ნაყოფიც გამოიღო. 1929 წელს მან წარმატებით ჩააბარა გამოცდები საშუალო სკოლის ატესტატზე და იმ წელსვე ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიულ ფაკულტეტზე.

...სტუდენტობა, უძილო ღამეები, ამხანაგები და მეგობრები, ინსტიტუტის დამთავრება და მეგობრებთან დამშვიდობება... პირველად ზლატოუსტსკის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა პლატონი ინჟინრად, შემდეგ — სხვადასხვა მეტალურგიულ ქარხნებში.

სამამულო ომის დღეებში პლატონი სამშობლოს დამცველთა რიგებშია. ომგადახდილი ვაჟკაცი კვლავ მშვიდობიან შემოქმედებით ცხოვრებას დაუბრუნდა. 1946 წლიდან პლატონი დნეპროძერჟინსკის მეტალურგიულ ქარხანაში ზრდის ქართველ ჭაბუკებს რუსთავის მეტალურგიული ქარხნისათვის.

სამეცნიერო მუშაობისადმი მიდრეკილება პლატონს ჯერ კიდევ ინსტიტუტში, სწავლის პერიოდში, აღმოაჩნდა. ცხოვრების დიდმა გამოცდილებამ და პრაქტიკულმა მუშაობამ კიდევ უფრო გააცხოველა ეს მისწრაფება.

1947 წელს პლატონმა წარმატებით ჩააბარა საკონკურსო გამოცდები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში და ორი წლის ვადით სადისერტაციო თემის მოსამზადებლად იგი ლენინგრადს მიავლინეს.

დაძაბულ შრომასა და შემოქმედებით ძიებას ამაოდ არ ჩაუვლია. 1951 წელს პლატონ დობორჯგინიძემ — ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის ყოფილმა მუშამ — წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მეტალურგიის დარგში. თავისი სადისერტაციო ნაშრომით მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ტექნიკური მეცნიერების საგანძურში.

ამჟამად პლატონი მეცნიერულ მუშაობას ეწევა საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შავი ლითონების მეტალურგიის კათედრაზე. იგი ასწავლის ინსტიტუტის მესამე, მეოთხე და მეხუთე კურსის სტუდენტებს. ამასთან არის მეტალურგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

**გივი თემზაძე**

# თბილისი საუკუნეთა მანძილზე

ვახტანგ ბერიძე

ვახუშტის გეგმით XVIII ს-ის პირველი ნახევრის თბილისი შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

მთაზე, ქალაქის უძველესი ნაწილის ზემოთ, ისევე, როგორც წინა საუკუნეებში, აღმართულია ციტადელი, რომელსაც ვახუშტი **მაღალ ციხეს** უწოდებს. აქედან, მთის ფერდზე, მდინარისკენ პარალელურად ეშვება ციხის კედლები, რომლებიც ე. წ. **დაბალ ციხეს** შემოფარგლავენ. დაბალი ციხის პირდაპირ მეორე ნაპირზე, დგას ციხის გალავნით გარშემორტყმული მეტეხის ეკლესია: **ამგვარად ძველი თბილისის ადრევე ჩამოყალიბებული დომინანტები ჯერ კიდევ უცვლელი რჩება.**

დ ა ბ ა ლ ი ც ი ხ ი ს გარშემოა დაჯგუფებული ქალაქის უმთავრესი ნაწილები: მდინარის დაღმა — ე. წ. სეიდაბადი, აღმა, ე. ი. ჩრდილოეთით კალა, ქალაქის უმთავრესი ნაწილი *. **თბილისის ცენტრი უკვე ჩრდილოეთისკენ ინაცვლებს:** სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შენობები — მეფის, დედოფლის, ბატონიშვილის სასახლეები, კათედრალი, ქარვასლები, მთავარი მოედნები, ეკლესიების უმეტესი ნაწილი — უკვე კალაშია. მისი ფარგლების დადგენა ზუსტად შეიძლება: სამხრეთით მისი გალავანი ციტადელის ე. წ. **სტამბოლის** კოშკიდან იწყებოდა და ე. წ. **შაისტახტამდის** აღწევდა (ეს სახელები გვიანდელია), ე. ი. იგი სოლოლაკის ქედის კეხს მისდევდა. აქ გალავანი ერთბაშად უხვევდა ჩრდილოეთისკენ და ციცაბო კალთით ეშვებოდა ქვემოთ. იგი მიუყვებოდა აწინდელ ილ. ჭავჭავაძის ქუჩის ხაზს, ჰკვეთდა ლენინის მოედანს, მისდევდა პუშკინის ქუჩისა და ბარათაშვილის ქუჩის ტრასას და აღწევდა ახლანდელ ბარათაშვილის ხიდამდე.

ქალაქის დომინანტი, ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით, XVIII ს-ში ჯერ ისევ ნარიყალაა: მისი მდებარეობა და სიდიდე მაინც უნარჩუნებს მას ადვილად აღსაქმელი აქცენტის მნიშვნელობას. მაგრამ ქალაქის დაგეგმარებაში იგი უკვე აღარაა განმსაზღვრელი. საკუთრივ კალაში საერთოდაც აღარ არის ისეთი მძლავრი ცენტრი, რომელსაც შეეძლოს ყველა სხვა ნაწილის თავმოყრა, დაქვემდებარება. მაგრამ კალას აქვს **ფუნქციური ცენტრი** და იგი უკვე დაშორებულია ძველ ციხეს, რომელშიაც ერთ ხანს მეფის სასახლეც ყოფილა: ეს ახალი ცენტრი — **მეფის მოედანია,** რომელიც მას შემდეგ უნდა შექმნილიყო, რაც ციტადელი სპარსელთა გარნიზონს გადაეცა და მეფემ თავისი რეზიდენცია გადმოიტანა აქ. აქვე, მეფის სასახლის პირდაპირ, მდებარეობდა ბაზარი, მოედნის გარშემო იყო მაღაზიებიც, ე. ი. ეს ქალაქის **სამეურნეო ცენტრიც** იყო.

ეს ცენტრი, ისევე, როგორც კალას უძველესი არტერიაც, რომელზედაც მდებარეობდა სიონი, ანჩისხატი, ქარვასლები და რამდენიმე სასახლე ჯერ კიდევ არ დაშორებია მტკვარს; ორივე ეს ეკლესია, ქარვასლები, სასახლეები ზედ მტკვარზეა გადამდგარი, მოედანიც თითქმის მდინარის ნაპირზე გამოდის.

მაგრამ ამ დროს უკვე სრულიად **გარკვევით ჩანს ქალაქის მომავალი განვითარების სხვაგვარი მიმართულების ჩანასახი:** ჯერ ერთი, კალას უმთავრესი ქუჩები (ერთი, რომელიც დაახლ. აწინდელ ლესელიძის ქუჩის ხაზს ემთხვევა, მეორე — აწინდელი ენგელსის ქუჩის წინაპარი, და კიდევ რამდენიმე სხვაც), რომლებიც ვახუშტის გეგმაზეა აღნიშნული, მდინარის პერპენდიკულარულადაა მიმართული: **ქალაქი ვაკეზე იშლება, მთაწმინდისკენ მიიწევს.**

ამის კიდევ უფრო მკაფიო მაჩვენებელია ე. წ. **გარეთუბანი,** რომელიც სიდიდით თითქმის აღარ ჩამოუვარდება თვით კალას: **ეს არის ახალი თბილისის ჩანასახი, მისი მომავალი ბირთვი.** კალას დასავლეთის გალავანთან, კოჯრის კარის წინ, **გარკვევით ისახება მომავალი მოედნის კონტურები:** აქ იკვეთებოდა კოჯრისა და დილმის გზები, ეს უეჭველია, გაცხოველებული მოძრაობის ადგილი იყო; უკვე **ჩანს მომავალი რუსთაველის პროსპექტის ჩანასახიც:** მის გასწვრივ რამდენიმე სასახლე და ეკლესიაც დგას.

ქალაქის ეს ნაწილი (მთაწმინდის კალთებით, ვრცელი ბაღებითა და მდინარით შემოფარგლული) იმ დროს ჯერ კიდევ მოკლებულია რაიმე ხუროთმოძღვრულ ორგანიზაციას: იგი უკვე „უსხლტება" ნარიყალის ხუროთმოძღვრულ „გავლენას", მაგრამ მისი სანაცვლო ჯერ არაფერი ჩანს.

როგორია იმდროინდელი თბილისის განაშენიანება? შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ **პრინციპული თვალსაზრისით იმგვარივე, როგორიც წინა საუკუნეებში:** თუმცა, შესაძლებელია, კონკრეტულად ბევრი რამ შეიცვალა, ზოგი რამ გაუმჯობესდა, ბევრი რამ კი, უეჭველია, გაუარესდა კიდეც წინანდელთან შედარებით, **თვით ქალაქის ზრდის თავისებურება, მისი განაშენიანების ხასიათი, ფეოდალური ეპოქის მთელ მანძილზე, ე. ი., თვით XIX ს-ის დასაწყისამდის, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდის, უცვლელი დარჩა.** „ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი უშვერნით", წერდა ვახუშტი. ამას ადასტურებს კალასა და ძველი თბილისის ზოგი სხვა უბნის (მაგ. ნარიყალის მიმდებარე უბნების) გეგმა, რომელიც, არსებითად, დღემდეც უცვლელადაა დარჩენილი.

XVI-XVIII სს. მანძილზე თბილისში მონუმენტური მშენებლობაც წარმოებდა. ზოგი მაშინდელი ძეგლი დღესაც არსებობს. XVII ს-ში შეაკეთეს ანჩისხატის ეკლესია, 1675 წ. კი დომენტი კათალიკოსმა მის გვერდით სამრეკლო ააშენა; 1710 წელს, როცა ქართლს ვახტანგი განაგებდა, აღადგინეს სიონის ტაძრის გუმბათის ყელი და მთლიანად განაახლეს გარეპერანგი. XVIII ს-ში გივი ამილახვარმა ხელმეორედ ააშენა ქვაშვეთის დაქცეული ეკლესია; XVIII ს-ის წლებში აღადგინეს მეტეხის ტაძარიც, რომელიც დაზიანდა 1748 წ., როცა ერეკლემ მეტეხის ციხე თურქებს წაართვა. ამ საუკუნეების კვალს ატარებს ჯვარის-მამის ეკლესიაც, ამდროინდელია ფეთხაინის სამრეკლო და ზოგი სომხური ეკლესია. თბილისში, სადაც ერთ ხანს ირანის პოლიტიკური გავლენა საგრძნობი იყო, მაჰმადიანური მოსახლეობისთვის მიზგითებიც ააშენეს: ერთმა მათგანმა, რომელიც შაჰ ისმაილმა ააგო „ხიდის ყურეში", ბოლო დრომდეც კი მოაღწია, არსებობდა „ლათინთ საყდარიც", მაგრამ ამ შენობებს, რა თქმა უნდა, ქართულ ხუროთმოძღვრებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ.

გვიანფეოდალურ ხანაში თბილისს რამდენიმე სასახლეც შეემატა, მაგრამ მათ შესახებ წერილობითი ცნობების გარდა, არა გაგვაჩნია რა. როცა როსტომ მეფემ (გარდაიცვალა 1658 წ.) „მაღალს ციხეში" არსებული ძველი სასახლე „დაუტევა" და ციტადელი „მისცა სპარსთა", მან „თავისა თჳსისათჳს სამეფოდ აღაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა სასახლე, მტკვრის გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა". ეს სასახლეა აღწერილი შარდენის მიერ. ვახუშტი აღნიშნავს, აგრეთვე, რომ „ჟდ (ე. ი. 94-ე) მეფემან ვახტანგ აღაშენა სახლი შვენიერი, სრულიად სარკითა და მოოქროვილი, დიდმხატვრობითა, ლაჟვარდითა და მარმალილოს კედლითა". ეს სასახლე „შემუსრეს ოსმალთა". როსტომისეული სასახლისაგანაც XIX ს-ეს მხოლოდ ერთმა დამხმარე ნაგებობამ მოაღწია — ე. წ. ზარაფხანამ, რომელიც დღესაც არსებობს (ნამდვილად ეს ალბათ აბანო იყო). უეჭველია, ამ გვიანა ხანისა უნდა ყოფილიყო ვახუშტის გეგმით ცნობილი სხვა სასახლეებიც: ბატონიშვილისა, ამილახვრისა, „ლუარსაბისა", მუხრანის ბატონისა. ეს უკანასკნელი XIX ს-ის 80-იან წლებამდის არსებობდა.

XVI-XVIII სს-თა მანძილზე თბილისში ხშირად უხდებოდათ საფორტიფიკაციო სამუშაოთა წარმოება: ციტადელისა და კალას კედლებს, მეტეხის გალავანს ხან ოკუპანტები (ირანელები ან თურქები) აშენებდნენ და აკეთებდნენ, ხან კი — უცხოელთა განდევნის შემდეგ — თვით ქართველები.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში, ერეკლე II-ის დროს, როცა აღმოსავლეთ საქართველოში რამდენიმე ხნით მშვიდობიანობა დამყარდა, ქვეყნის ეკონომიურ წარმატებასთან ერთად, თბილისსაც გამოცოცხლება დაეტყო. თბილისი ამ დროს ვაჭრობას აწარმოებდა როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებთან, ისე რუსეთთანაც; ქალაქში ხელოსნობის მრავალგვარ დარგს მისდევდნენ, არსებობდა სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვაგვარი შენობებიც, მაგრამ მათ შორის ხუროთმოძღვრულად საინტერესო მხოლოდ ქარვასლები უნდა ყოფილიყო.

საფიქრებელია, რომ XVII-XVIII სს-თა მანძილზე თბილისში ქარვასლები თავიდან აშენდა. ამ შენობათა ნაშთები, ან ამავე დანიშნულების ახალი შენობები, რომლებიც უშუალოდ მათ ტრადიციებს აგრძელებს, თავისი ფორმებითა და დეკორით სწორედ ამ გვიანა ხანას მიგვითითებს. იგივე ითქმის აბანოებზედაც, რომლებიც თავისი გუმბათებით სრულიად სპეციფიკურ იერს ანიჭებდნენ ლეღვთახევის მიმდებარე უბნებს.

როგორც ყოველ ფეოდალურ ქალაქში, თბილისშიაც ძალიან მკვეთრად იგრძნობოდა სოციალური განსხვავება საცხოვრებელთა შორის. მდიდარ ფეოდალთა სასახლეების გვერდით — ვაჭარ-ხელოსანთა, თბილისის მოქალაქეთა უფრო მცირე და ნაკლებ მორთული სახლები იყო; როგორც ჩანს, დიდი ადგილი ეჭირა ე. წ. დარბაზებს, რომლებიც თავისი ძირებით შორეულ წარსულს უკავშირდება. ამათ გვერდით — ღარიბ-ღატაკთა მიწურებიც არსებობდა. საერთო-საქალაქო კომუნალურ კეთილმოწყობაზე ლაპარაკი იმ დროს ძნელია. კეთილმოწყობა თუ კი იყო — ჩანასახს მაინც არ გასცილებია: წყალსადენის წყლით მხოლოდ მეფის ოჯახისა და უმაღლესი ფენების წარმომადგენელთა რამდენიმე სახლი იყო მომარაგებული, მოსახლეობა კი მტკვრისა და ღელეების წყლით სარგებლობდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ XVIII ს-ის მეორე ნახევარში ზოგიერთი ქუჩის განათება ჰქონდათ მოწყობილი. ამას თუ დავუმატებთ ცნობილი აბანოების არსებობას, ამით ამოიწურება, არსებითად, ქალაქის კეთილმოწყობა. მაგრამ ამ მხრივ თბილისი არ განირჩეოდა სხვა ტიპიურ ფეოდალურ ქალაქთაგან.

XVIII ს-ის მიწურული ტრაგიკული ფურცელია საქართველოსა და თბილისის ისტორიაში: 1795 წ. ირანის შაჰმა აღა-მაჰმად-ხანმა აიკლო და ააოხრა თბილისი, რომელიც ნახევარი საუკუნის მშვიდობიანი ცხოვრების შედეგად რამდენადმე მოღონიერებული და მოშენებული იყო. მოსახლეობა გაწყდა და გაიფანტა. ქალაქი ნანგრევებად იქცა. ამ შემოსევის წყალობაა, რომ ჩვენამდის ვერ მოაღწია ვერც მეფისა და ვერც ფეოდალთა სასახლეებმა; მაშინ დაიღუპა მრავალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა, განადგურდა საცხოვრებელ სახლთა დიდი ნაწილიც.

იმ ხუთიოდე წლის განმავლობაში, რომელიც ამ დღიდან ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდის გავიდა, რა თქმა უნდა, ამ მძიმე ჭრილობების მოშუშება შეუძლებელი იყო, მით უფრო წელში გატეხილი ქვეყნისთვის.

თბილისის განახლება მხოლოდ XIX ს-დან დაიწყო, როცა ქვეყანა ღრმა სოციალურსა და ეკონომიურ ცვლილებებს განიცდიდა. სულ სხვა იყო პოლიტიკური და კულტურული ვითარებაც. და ამ ახალ პირობებში სულ სხვაგვარი ქალაქი დაიბადა, ქალაქი, რომელიც ინარჩუნებდა მკაფიოდ გამოკვეთილ **საკუთარ** სახეს, მაგრამ თავისი საერთო აგებულებითაც და შენობათა არქიტექტურითაც პრინციპულად განსხვავდებოდა ძველ, მრავალ ქარტეხილ გამოვლილ: „სამეფო ქალაქ" თბილისისგან.

---

* **სახელწოდებას კ ა ლ ა სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა: ქალაქის არსებობის ადრინდელ საფეხურებზე კალა ეწოდება ქედზე მდებარე ციტადელს. გვიანფეოდალურ ხანაში კალა უკვე ქალაქის უბანია, ხოლო ციტადელს ამიერიდან ნ ა რ ი ყ ა ლ ა ჰქვია.**

**(დასასრული. იხ. ჟურნ. „დროშა" № 2).**

თბილისი. ნახატი გრინევსკისა.



# ქართველი მწერლები რუსულად

მ. ზლაჩკინი

საქართველოს საბჭოთა მწერლების გამომცემლობის „ზარია ვოსტოკას“ დირექტორი.

1940 წლის 27 მაისს თბილისის ინტელიგენციის კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში მიხეილ ივანეს-ძე კალინინი ამბობდა: „ძველად, მაგალითად, ქართველი მწერალი სწერდა ქართულ ენაზე მხოლოდ ქართველი ხალხისთვის...

ახლა კი ის ქმნის ქართველი ხალხისთვის და მასთან ერთად 180 მილიონიანი საბჭოთა ხალხისთვის...“

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენს დროში ქართველი, სომეხი, ბელორუსი, უკრაინელი და ყოველი ნაციონალური მწერლის არც ერთი ღირსეული ნაწარმოები არ დარჩება შეუმჩნეველი... ამ დებულების დამამტკიცებელია ჩვენი ქვეყნის და, არამარტო ჩვენი ქვეყნის, ფართო მკითხველი მასის მზარდი ინტერესი რუსულად თარგმნილი ქართული ლიტერატურისადმი.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობის „ზარია ვოსტოკას“ გამოშვებული წიგნები 50, 75 და 100 ათასი ტირაჟით ვრცელდება. მრავალი ჩვენი წიგნი მკითხველმა ისე შეიყვარა, რომ რამდენიმე გამოცემას გაუძლო, „ქართული ხალხური ზღაპრების“ კრებული კი, რომელიც შეიცავს ქართული ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშებს, 310 ათასი ცალის რაოდენობით გავრცელდა.

დეკადამ, რომელიც საბჭოთა საქართველოს კულტურის მიღწევათა ფართო დათვალიერება იყო, ახალი ძალით დაამტკიცა ის უტყუარი ფაქტი, რომ ქართველი მწერლების, მხატვრების, მსახიობთა შემოქმედებითი წარმატებანი შედეგია ხალხთან მუდმივი კავშირისა. დეკადისათვის მზადებაში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა დათმობილი ჩვენი რესპუბლიკის გამომცემლობებს, კერძოდ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობის „ზარია ვოსტოკას“ მთელი მუშაობა ამ ამოცანისადმი იყო დაქვემდებარებული.

გამოვიდა 60-ზე მეტი წიგნი. მათ შორის, გადამუშავებული და უფრო სრულყოფილი თარგმანები ქართული კლასიკური ლიტერატურის წარმომადგენლების— ი. ჭავჭავაძის, ა. ყაზბეგის, გ. წერეთლის, ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის, ე. გაბაშვილის, ნ. ლომოურის და სხვათა ნაწარმოებებისა.

დიდი, მდიდრულად ილუსტრირებული შრომა პროფესორ შ. ამირანაშვილისა მკითხველს გააცნობს XII საუკუნის გამოჩენილი ქართველი ოქრომჭედლების ბექა და ბეშქენ ოპიზარების ნამუშევრებს.

დეკადაზე წარდგენილი იქნა თანამედროვე პროზის 30-ზე მეტი წიგნი. უკვე გამოვიდა ლ. ქიაჩელის, კ. გამსახურდიას, კ. ლორთქიფანიძის, ა. ქუთათელის, ა. ბელიაშვილის, ა. ჭეიშვილის, ი. ლისაშვილის, ს. კლდიაშვილის, ე. ზედგინიძის და სხვათა ნაწარმოებნი.

წარმოებაშია ს. კლდიაშვილის ახალი ნაწარმოები — „ირინე თუხარელი“, რ. ჯაფარიძის — „ჯარისკაცის ქვრივი“, ლ. ავალიანის — „ახალი ჰორიზონტი“, ს. თავაძის — „ფოლადი“, ე. ფეიგინის — „სრულწლოვანება“, ა. კუზმიჩევის—„ასე დგება გაზაფხული“, თ. დონჯაშვილის — „ალაზანზე “და სხვ.

გამოვა თანამედროვე დრამატურგების პოლიკარპე კაკაბაძისა და მიხეილ მრევლიშვილის პიესათა ორი კრებული.

მოთხრობათა ახალი კრებულებით წარმოდგენილნი არიან მწერლები ბ. ჩხეიძე, ა. ლომიძე, მ. ასლანიანი, ი. ურჯუმელაშვილი და სხვ. იბეჭდება ა. ბელიაშვილის, გ. ჩიქოვანის, გ. ნატროშვილის, ბ. სეირანიანის, თ. გოგოლაძის, რ. ინანიშვილის, ა. ზურაბოვის და სხვათა მოთხრობების წიგნები. ,

ჩვენი პოეტების 25 წიგნში, რომლებიც დეკადასთან დაკავშირებით გამოვიდა, შეტანილი იქნა ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. ამ ლექსებსა და პოემებში გამოხატულია საბჭოთა ადამიანების მაღალი იდეალები, ხალხთა მეგობრობის დიადი გრძნობა, სიყვარული სამშობლოსადმი და კომუნისტური პარტიისადმი.

სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი წარდგენილი შემოქმედებითი პატაკი იყო 7 ნოემბრისათვის გამოსული კრებული „დიად ოქტომბერს“. ამ წიგნში შეტანილია საუკეთესო ნიმუშები ქართველი მწერლებისა, რომლებიც მრავალნაციონალური საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ წამყვან ჯგუფს შეადგენენ.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში დამყარდა მუდმივი შემოქმედებითი მეგობრობა ქართველ პოეტთა და რუსული ლექსის მთელ რიგ გამოჩენილ ოსტატთა შორის, ამ საქმის პიონერები იყვნენ ნიკოლოზ ტიხონოვი, ბორის პასტერნაკი და ნიკოლოზ ზაბოლოცკი. ამ მეგობრობამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო და ახლა ჩვენ შევძელით ამ რუს პოეტთა ნათარგმნი ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის სამი კრებულის მომზადება. პოეტებმა ნ. ტიხონოვმა და ბ. პასტერნაკმა ამ კრებულებში შეიტანეს, აგრეთვე. საბჭოთა საქართველოსადმი მიძღვნილი თავიანთი ლექსების ციკლი.

პოეტთა მეგობრობა, ქართველი და რუსი ინტელიგენციის შემოქმედებითი კავშირი წლითი წლობით იზრდება და მტკიცდება, რის შედეგადაც ამჟამად ქართულ პოეზიას ათობით გამოჩენილი რუსი პოეტი თარგმნის.

ნაყოფიერად მუშაობენ მხატვრული პროზის მთარგმნელები ე. ანანიაშვილი, ე. ღოღობერიძე, ფ. თვალთვაძე, ნ. ჩხეიძე, ბ. კორნეევი, მ. კახიძე, ვ. კირეევა, ნ. აკერმანი, ვ. ორჯონიკიძე და სხვ.

ჩვენს მიერ გამოცემული წიგნები ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის დარგში, ნათელს მოჰფენენ ქართველი ლიტერატორების მრავალმხრივ მუშაობას რუსთაველის, პუშკინის, გრიბოედოვის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ვაჟა ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, მაქსიმ გორკის, ვლადიმერ მაიაკოვსკის ცხოვრებასა და შემოქმედების შესწავლისა და სოციალისტური რეალიზმის ძირითად საკითხთა დამუშავების საქმეში.

დაიბეჭდა და დეკადის დღეებში გამოვიდა „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ (უძველეს დროიდან დღემდე) დიდი ტომი, რომელიც ავტორთა ჯგუფის — ა. ბარამიძის, შ. რადიანის და ბ. ჟღენტის მიერ არის მომზადებული, ვ. შადურის წიგნი — „დეკაბრისტული ლიტერატურა და ქართველი საზოგადოებრიობა“, ლ. ასათიანის წიგნი „მოძმე ლიტერატურათა მეგობრობა“, ა. ნიკოლაძის — „რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი“, გ. მარგველაშვილის — „ლიტერატურულ - კრიტიკული წერილები“, დ. ჯანელიძის „ქართული თეატრი“.

დაიბეჭდება წიგნები რუს და ქართველ ხალხთა მრავალსაუკუნოვან მეგობრობის შესახებ: რუსული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა აზრები და ცალკეული ნაწარმოებნი საქართველოზე და ქართველ მოღვაწეთა ანალოგიური ნაწარმოებნი რუსეთზე.

იმ წიგნთა შორის, რომლებიც დეკადისთვის მიიღო მკითხველმა, არის აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებნი, საქართველოში მცხოვრებ რუს, სომეხ და ქურთ მწერალთა კრებულები.

სპეციალურ მონოგრაფიებში აღწერილი იქნება დეკადის მონაწილე თეატრთა განვითარების გზები.

თანამედროვე პროზისა და პოეზიის ოსტატთა ცხოვრებაზე დაწერილი მონოგრაფიები შეავსებენ ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის დარგში გამოცემულ წიგნებს.

დეკადისთვის მთლიანად გამოვიდა ასზე მეტი წიგნი.




# [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1929** წლის ზაფხულს მთელი ხევსურეთი ლაპარაკობდა ახალგაზრდა „თბილისელი“ ქალის შესახებ, რომელიც უშიშრად მოგზაურობდა მიუვალ სოფლებში, ყურადღებით აკვირდებოდა ხევსურთა ყოფა-ცხოვრებას, გატაცებით საუბრობდა მოხუცებთან და ნახულსა და მოსმენილს ყოველივეს გულმოდგინედ იწერდა.

ეს იყო ქართველი ეთნოგრაფი ქალის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, ვერა ბარდაველიძის პირველი სტუმრობა ხევსურეთში. შემდეგ მან არა ერთხელ ინახულა საქართველოს ეს საინტერესო მხარე. და განა მარტო ეს მხარე...

მის მეუღლესთან, პროფ. გ. ჩიტაიასთან ერთად, იგი ოცდაათ წელზე მეტია თავდადებით ემსახურება ქართველი ხალხის კულტურისა და ყოფის შესწავლას.

ვერა ბარდაველიძის, როგორც ეთნოგრაფის სამეცნიერო მოღვაწეობის საფუძველს ყოველთვის საველე-შემკრებლობითი მუშაობა წარმოადგენდა.

ვერა ბარდაველიძეს საკუთარი ფეხით აქვს შემოვლილი საქართველოს ყოველი კუთხე. მას ვერ აფერხებდა კავკასიონის სახიფათო გადასასვლელები, მთის დაუდეგარი მდინარეები, მიუვალი სოფლების საცალფეხო ბილიკები, ავდარი თუ სიცხე-პაპანაქება...

ვინ მოსთვლის რამდენი ათეული კილომეტრი გაუვლია მას ფეხით თუშ-ფშავ-ხევსურეთისა თუ სვანეთის მთაგორებში მთხრობლებთან შესახვედრად.

მთხრობელთან მუშაობაში კი ვერა ბარდაველიძეს არა ჰყავს ბადალი. მას იმდენად ოსტატურად ძალუძს მთხრობელთან საუბრის გაბმა, მისი დაინტერესება და წახალისება, ბუნებრივი, ძალდაუტანებელი განწყობილების შექმნა, რომ მასთან სიტყვაძვირი ღრმა მოხუცებიც კი დაუზარებლად ჰყვებიან „მთისას და ბარისას“.

მადლიანია და ბარაქიანი ვერა ბარდაველიძის მიერ ველზე ენერგიული შრომით მოწეული ეთნოგრაფიული „ჭირნახული“. ცალკეულ მივლინებებსა და ექსპედიციებში (რომელთა რაოდენობა ოცდახუთამდე აღწევს), ვ. ბარდაველიძეს შეკრებილი აქვს, მეტწილად, სრულიად ახალი, ლიტერატურაში მანამდე უცნობი, დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა ქართველი ხალხის კულტურისა და ყოფის სხვადასხვა სფეროდან. იგი ავტორია ორმოცდაათამდე მეცნიერული ნაშრომისა, რომელთაგან უკვე პირველმავე შრომებმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრეს და მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

მკვლევარს შესწავლილი აქვს ქართველი ხალხის უძველესი სოციალური ურთიერთობისა და სულიერი კულტურის ძირითადი მხარეები; მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, ხალხური ხელოვნების დარგები... მის შრომებში დასმულია და წარმატებით გადაწყვეტილი საქართველოს ეთნოგრაფიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. იგი თავის შრომებში აღადგენს ქართველი ხალხის კულტურისა და ყოფის უძველეს სურათებს, აცოცხლებს ბევრს ისეთს, რაც ათასეული წლების წინათ შეიქმნა, რაზედაც სდუმს ძველი წერილობითი ძეგლები, რაც ჟამთა სიავეს გადაჰყვა და თითქმის უკვალოდ გაქრა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ახლახან გამოქვეყნებული კაპიტალური მონოგრაფია **„Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен“.**

აღნიშნული მონოგრაფია ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების საუკეთესო მონაპოვარია. იგი ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ხელოვნების მცოდნეთა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

მკვლევარს ნაყოფიერი სამუზეუმო-საექსპოზიციო მუშაობაც აქვს გაწეული. მას ველზე შეგროვებული აქვს, აგრეთვე, ექსპონატებიც, რომელთაც გაამდიდრეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ფონდები. მისი აქტიური მონაწილეობით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში — მოეწყო ცნობილი ეთნოგრაფიული გამოფენები: ხევსურეთი, სვანეთი, აბისინია, საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა, ამჟამად იგი კონსულტაციას უწევს გამოფენას — რელიგიისა და ათეიზმის ისტორია საქართველოში.

ვ. ბარდაველიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის მეცნიერული კადრების აღზრდის საქმეშიც. მას გამოზრდილი ჰყავს ქართველ ეთნოგრაფთა არა ერთი და ორი თაობა.

ა. ლეკიაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

# ჭეშმარიტებისა და მშვენიერების ძიებაში

გივი გაჩეჩილაძე

ოცდახუთი წლის წინ გარდაიცვალა ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯონ გოლსუორთი, შესაძლებელია ყველაზე უფრო პოპულარული რომანისტი XX საუკუნის დასავლეთის მწერალთა შორის.

„ფორსაიტების ქრონიკების“ ავტორმა დიდი სახელი მოიხვეჭა პროგრესულ სამყაროში, უპირველეს ყოვლისა, თხრობის იმ განსაკუთრებული მანერის წყალობით, რომელშიც სიუჟეტის ნათელი და ლაკონიური გადმოცემა შეერთებულია მახვილ ფსიქოლოგიურ ანალიზთან. რუსი ტურგენევისა და ფრანგი მოპასანის მოწაფემ, მან შეჰქმნა ინგლისის ცხოვრებისა და მისი ეროვნული ხასიათების გამოხატვის თავისებური სტილი, რომლითაც ადვილად გააცნო უცხოელ მკითხველს ეს ცხოვრება და ხასიათები. ამით აიხსნება მისი დიდი პოპულარობაც ჩვენში. რაც შეეხება ანგლო-საქსურ სამყაროს, როგორც ჩანს სხვადასხვა მოდერნისტულ მიმართულებათა არეულობაში, იქ გოლსუორთისადმი ინტერესი შენელებულა. ყოველ შემთხვევაში, ამას აღნიშნავდა ცნობილი ამერიკელი მწერალი ჯონ სტეინბეკი ჯერ კიდევ ამ თორმეტი წლის წინ, როდესაც იგი ესტუმრა საქართველოს. მე მახსოვს, ჩემს კითხვას გოლსუორთის პოპულარობის შესახებ მან უარყოფითად უპასუხა. მაგრამ ამ ფაქტის ახსნა არც ისე ძნელი უნდა იყოს: გოლსუორთი მეოცე საუკუნის დასავლეთის სოციალურ მანკიერებათა დიდი მამხილებელია. გარდა ამისა, მოდერნისტულ უცნაურობათა ბატონობის პირობებში მისი დახვეწილი რეალიზმი უთუოდ „დაძლეულ“ ეტაპად ითვლება.

ჩვენთვის კი, ვინც ჭეშმარიტი რეალიზმის ფასი კარგად ვიცით, უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც გოლსუორთის მიერ დაყენებული პრობლემები და მის მიერ ასახული ხასიათები, ასევე მათი მხატვრული განხორციელების ფორმები, რომელთა ოსტატად სამართლიანად ითვლება იგი.

ჯერ კიდევ 1926 წელს თავის ესეიში „რომანისტის რწმენა“ გოლსუორთი სწერდა: „ჭეშმარიტება და მშვენიერება ძნელი საძიებელია, მაგრამ განა სხვა რისი ძიება ღირს ამათზე მეტად?“ მართლაც გოლსუორთის მხატვრული შემოქმედება ჭეშმარიტებისა და მშვენიერების განუწყვეტელი ძიებაა. ჭეშმარიტება მას ესახებოდა უბირი სოციალური სინამდვილის სახით, რომელსაც მართავს მისი ინგლისის „საუკეთესო ნახევარი“ — მესაკუთრე ფორსაიტების კლასი, ე. წ. „საშუალოზე მაღალი კლასი“. ამ კლასს ეკუთვნოდა თვითონ გოლსუორთი და მის ნაკლსა და ღირსებას განიცდიდა როგორც მისი ღვიძლი შვილი, მაგრამ არ შეეძლო მთელი ობიექტურობით არ აესახა მესაკუთრული სამყაროს საბედისწერო დასასრულის მოახლოვება. ამიტომაც იქცა ის დიდ რეალისტ მხატვრად.

მშვენიერება გოლსუორთის მაღალ, მაგრამ ბუნდოვან მორალურ-ესთეტიკური იდეალის სახით ეხატებოდა. იგი ისახებოდა ანტიფორსაიტული ბუნების მქონე ადამიანების სახით, რომლებისთვისაც მთავარი საკუთრება კი არ არის, არამედ ინდივიდუალური თავისუფლება და სილამაზე, განსახიერებული ფიზიკურ ბუნებასა და მორალურ სიწმინდეში, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ოფიციალურად გაბატონებულ, თვალთმაქცურ ბურჟუაზიულ მორალთან. გოლსუორთის მხატვრული შემოქმედება უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, არსებითად ამ „ჭეშმარიტების და სილამაზის“ კონფლიქტის ასახვაა.

ჭეშმარიტების ძიება გოლსუორთიმ საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ პრობლემათა ერთიანობაში გამოხატა: როგორც ყველა დიდმა მხატვარმა ადამიანის პირად ბედ-იღბალში დაინახა საზოგადოების ბედ-იღბალი. მისი შემოქმედების ძირითად თემად იქცა ინგლისური საზოგადოების გაბატონებული ფენების ცხოვრება, მისი შინაგანი რღვევის პროცესი. ძირითადად ეს პროცესი ასახა მან თავის მონუმენტალურ ციკლში — ფორსაიტების ქრონიკებში, რომლის უმთავრეს ნაწილს შეადგენს ორი ტრილოგია „ფორსაიტების საგა“ და „თანამედროვე კომედია“. სინამდვილეს, რომელშიც გაიხსნა გოლსუორთის შემოქმედება, წარმოადგენდა, ე. წ. ვიქტორიანული საუკუნე, ანუ XIX საუკუნის სტაბილური ინგლისური კაპიტალიზმი, გადასული იმპერიალიზმის სტადიაში. ამ ეპოქის ინგლისი იყო „სახელმწიფო რანტიე“, როგორც მოხდენილად უწოდა მას ვ. ი. ლენინმა, ქვეყანა, რომელშიც მეტად მცირე იყო მწარმოებელი მოსახლეობის პროცენტი და მეტად დიდი მოსახლეობის რანტიეს ფენა, მცხოვრები თავისი საკუთრების შემოსავლით.



მტკიცე და გარანტირებულმა საკუთრებამ გზა გაიკვლია ინგლისელი რანტიეს ფსიქიკაში, იქცა მისი ინდივიდუალური ხასიათის ძირითად ელემენტად — საკუთრების ინსტინქტად. ამ ინსტინქტის უფრო ფართო, სახელმწიფოებრიობამდე განვითარებულ ფორმას წარმოადგენდა თვით ინგლისის მეტროპოლია, ეს სახელმწიფო-რანტიე“, არსებითად ისეთივე ხასიათის მქონე, აგრესიული და იმპერიალისტურად განწყობილი, როგორიც იყო ყოველი ცალკეული ინგლისელი რანტიე

თავის პირველსავე რომანებში გოლსუორთიმ პროტესტი განუცხადა პიროვნების თავისუფლების შემზღუდველ სოციალურ ძალებს და აღნიშნა მათ შორის დახახული კონფლიქტი.

სოციალური და ეროვნული პრობლემატიკა, ხასიათები და გრძნობები, განწყობილება და ბუნება, რეალისტი მხატვრის მთელი ოსტატობით თავმოყრილია ფორსაიტთა ტრილოგიებში, მთავარი კონფლიქტი აღნიშნულია პირველსავე რომანში „მესაკუთრე“. პირველად აქ აღიმართა სოამს ფორსაიტის მონუმენტური ფიგურა, რომელშიც განსახიერებულია მყარი ვიქტორიანული საუკუნის ყველა ძირითადი თვისება და, უპირველეს ყოვლისა, საკუთრების ინსტინქტი. სოამსი ცოლად ირთავს გაღარიბებული პროფესორის ასულს აირინ ჰერონს, ღრმად ემოციურ, ლამაზი, ლირიკული გარეგნობის ქალს, რომელიც ყველა პლანში უპირისპირდება თავის მეუღლეს: სოამსი ტიპიური ბურჟუაა, აირინი — დეკლასირებული ინტელიგენტი; სოამსი მესაკუთრეა, რომელიც ცოლსაც განუყოფელ საკუთრებად თვლის, აირინი კი ინსტინქტური თავისუფლებისმოყვარეობით ხასიათდება; სოამსის საკუთრების ინსტინქტს უპირისპირდება სილამაზისა და თავისუფლების ინსტინქტი განსახიერებული აირინსა და მისი მოტრფიალე ხუროთმოძღვარი ბოსინის სახეებში, აგრეთვე, მხატვარ ჯოლიონ ფორსაიტში.

დრო მიდის და გოლსუორთის მსოფლმხედველობაც ევოლუციას განიცდის. იცვლება რომანისტის დამოკიდებულება მესაკუთრე სოამსისადმი. ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ მწერლის დამოკიდებულების შეცვლაში მესაკუთრული ინგლისის მიმართ, ხოლო, თვით ამ ცვლილების მიზეზი პროლეტარული რევოლუციის ეპოქაა. ფორსაიტული კლასის პირმშო რომანისტი რევოლუციური ძვრების წინაშე უკან იხევს. მესაკუთრე სოამსი, ოდესღაც გამანადგურებელი ირონიითა და ანტიპათიით გამოხატული, გონიერ და სიმპათიურ მოხუცად იქცევა. უფრო მეტიც: ეგოისტი მესაკუთრე სულგრძელ ადამიანად, თავდადებულ მამად და შვილის სიყვარულის მსხვერპლად გვევლინება. რომანში „ქირავდება“, გოლსუორთი შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ მსგავს სიტუაციას გვიხატავს: ფორსაიტების ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს — სოამსის ქალს, ფლერს და აირინისა და ჯოლიონის ვაჟს, ჯონს შეუყვარდებათ ერთმანეთი. მათ არაფერი იციან საგვარეულო შუღლისა, რომელიც მათ ოჯახებს შორის ჩამოვარდნილა აირინის ამბავთან დაკავშირებით. მაგრამ ეს შუღლი მათ სიყვარულს წინ გადაეღობება. სოამსი მზად არის დაივიწყოს ყველაფერი შვილის ბედნიერებისათვის. აირინი კი იჩენს განსაკუთრებულ გაბოროტებას და თუმცა იგი თვალთმაქცურად ცდილობს ჯონს ისე მოაჩვენოს თავი, თითქოს მზად არის გაიღოს მსხვერპლი, არსებითად აიძულებს მას უარი თქვას ფლერის სიყვარულზე. განადგურებულია ახალგაზრდული გრძნობა: შემდგომ რომანებში „თეთრი მაიმუნი“ და „ვერცხლის კოვზი“ ფლერი იქცევა იმედგაცრუებული და ცინიკური მოდერნისტული საუკუნის ტიპიურ შვილად. არც ჯონია ბედნიერი. მათი რომანის მარცხიანი რეციდივი თავს იჩენს თანამედროვე კომედიის უკანასკნელ რომანში „გედის სიმღერა“, რომელშიც გამოხატულია სოამს ფორსაიტის ტრაგიკული სიკვდილიც. ამგვარად, მესაკუთრე სოამს ფორსაიტი საბოლოოდ დრამატულ ფიგურად იქცევა. რომანისტი გვიჩვენებს მესაკუთრის განუწყვეტელ, მტკივნეულ ცდას დაეუფლოს სილამაზეს, მის სათაყვანებელ აირინში განხორციელებულს, მაგრამ სილამაზე, ისევე, როგორც აირინი, მიუწვდომელ აბსტრაქციად რჩება, ხოლო მესაკუთრე სოამსი — განწირულად მიწაზე ხოხვისათვის. ფინალში რომანისა „ქირავდება“ ავტორი თავისებურად აჯამებს მის მიერ გამოხატული კოლიზიის სოციალურ და ესთეტიკურ არსს: სოამს ფორსაიტი დგას ჰაიგეიტის სასაფლაოზე, სადაც წვანან წინა საუკუნის ფორსაიტები. გავიდა ფორსაიტების საუკუნე, როდესაც ადამიანს ეკუთვნოდა თავისი სული, თავისი შემოსავალი, თავისი ცოლი. მაგრამ ძველის წასვლა მხოლოდ აუცილებელი ნგრევაა იმისათვის, რათა ადგილი გაუწმინდოს ახალ საკუთრებას. ცვლილება მხოლოდ შუალედია სიცოცხლის ორ ფორმას შორის. ეს სოციალური ჭეშმარიტება ღრმად სწამს სოამს ფორსაიტს და იმდენად არც აწუხებს. „მხოლოდ ერთადერთი რამ ნამდვილად აწუხებდა მას, იქ მჯდარს, — სევდა, რომელიც მტკივნეულ გრძნობას ჰბადებდა გულში. იმიტომ, რომ მზე ჯადოსნურად ანათებდა მის სახეს და ღრუბლებს და არყის ხის ოქროსფერ ფოთლებს, და ქარიც ისე ალერსიანად შრიალებდა, და ურთხელის სიმწვანეც ისეთი მუქი იყო და მთვარის ნამგალი ფერგამკრთალი ეკიდა ცაში. რამდენიც უნდა ისურვოს და ინდომოს, ვერასოდეს ვერ მოიპოვებს მას, — ქვეყნის სილამაზესა და სიყვარულს“.

სოამს ფორსაიტის ამ ტრაგიკულ განწირულებაში გოლსუორთიმ თანაგრძნობის ახალი ნოტი შეიტანა და ამით განსაზღვრა თავისი შეცვლილი დამოკიდებულება ძველი მესაკუთრისადმი. სწორედ „ქვეყნის სილამაზე“, რომელსაც მთელი სიცოცხლე მისდევდა სოამსი და განწირული იყო ვერასოდეს მისწვდა მას, სწორედ ეს იდეალი მიიჩნია გოლსუორთიმ რომანისტის უმაღლეს მისწრაფებად: „ქვეყნის სილამაზე იწვევს რომანისტის ნამდვილ სასოწარკვეთილებას; გულისტკივილს, რომელსაც იგი გრძნობს აყვავებული ბუნების წინაშე. შეიძლება ეს ტკივილი ნაწილია სექსუალური ინსტინქტისა — მძლავრი წყურვილი თვალწინ მდგარ სილამაზესთან შერწყმისა ანუ შეერთე-

# უდროო სიკვდილის წინააღმდეგ

ცნობილია, რომ ქსოვილები და ორგანოები არ კვდებიან სუნთქვისა და გულის მოქმედების შეჩერებასთან ერთად.

კლინიკური პრაქტიკა იმოწმებს მრავალ შემთხვევას, როდესაც ადამიანთა გაცოცხლება კლინიკური სიკვდილის 7-8 წუთის შემდეგ იძლევა თავის ტვინის ქერქის შეუქცევად მძიმე ნევროლოგიურ დარღვევებს. აქედან გამომდინარე თანამედროვე მეცნიერთა კვლევა-ძიება წარმოებს იმ მიმართულებით, რათა გამოძებნილ იქნეს საშუალებანი და ღონისძიებანი, რომლებიც შეანელებენ (შეაკავებენ), ქსოვილთა რღვევით პროცესებს კლინიკური სიკვდილის პერიოდში.

ექსპერიმენტში ძაღლებზე, ხელოვნური გაციების შედეგად, კლინიკური სიკვდილის დრო 1 საათამდე იქნა გახანგრძლივებული, რომლის შემდეგ მიღებული იქნა ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების სრული აღდგენა.

ამ ცოტა ხნის წინ, საბჭოთა კავშირის სამედიცინო აკადემიის ექსპერიმენტული ფიზიოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომლებმა პროფ. ვ. ა. ნეგოვსკის ხელმძღვანელობით, თბილისის სისხლის გადასხმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელ შ. ს. მაჭავარიანთან ერთად, ჩაატარა აღნიშნული ხასიათის მუშაობა სოხუმის სამედიცინო-ბიოლოგიურ სადგურში მაიმუნებზე. აღნიშნული ცდების ჩატარების აუცილებლობა პირველ რიგში ნაკარნახევია იმით, რომ მაიმუნები თავისი ბიოლოგიური თვისებებით, ძლიერ ახლო დგანან ადამიანთან.

ჩატარებულმა ცდებმა მაიმუნებზე გვაჩვენა, რომ ჰიპოთერმიის პირობებში შესაძლებელია ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების სრული აღდგენა 10-20 და 30 წუთით, სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის სრული შეწყვეტის შემდეგ.

აღნიშნული ექსპერიმენტების ჩატარების შემდეგ შეიძლება დავუშვათ, რომ კლინიკურ პირობებში ჰიპოთერმიის გამოყენებისას, სუნთქვისა და გულის მუშაობის შეწყვეტის შემთხვევებში, შესაძლებელია ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების აღდგენა, არა მარტო 5-6 წუთის მანძილზე, არამედ უფრო მეტი დროის მონაკვეთში.

ამგვარად, საბჭოთა მეცნიერები გაბედულად სწყვეტენ ფრიად საინტერესო პრობლემას თანამედროვე ბიოლოგიაში, როგორიცაა ორგანიზმის გაცოცხლება. რაც უფრო ღრმად იქნება შესწავლილი სიკვდილის პროცესი და ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების აღდგენითი მოვლენანი, მით უფრო წარმატებით წარიმართება ბრძოლა უდროო სიკვდილის წინააღმდეგ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოზე — პროფესორი ვ. ა. ნეგოვსკი (მარჯვნიდან მეორე), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი შ. ს. მაჭავარიანი (შუაში) და ექსპერიმენტული ფიზიოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომლები, სოხუმის სამედიცინო-ბიოლოგიურ სადგურში ცდას ატარებენ მაიმუნებზე.

---

ბისა; ან შეიძლება, უფრო უხეშად, მას ვუწოდოთ სიხარბე — სილამაზის განუწყვეტელი და ინტიმური ფლობის სურვილი. ამ სილამაზის სიტყვებით გამოხატვის ან წარმოდგენის ცდა ბუნებრივი რამ არის, ეს წყურვილის დაოკების ცდაა, მაგრამ, ვაი რომ, იგი თავისი სრულყოფის აჩრდილამდეც კი ძლივს აღწევს". ასე სწერდა იგი „რომანისტის რწმენაში".

სოომსისადმი დამოკიდებულების შეცვლაში დაისახა ის იდეალური სინთეზი, რომელმაც გოლსუორთის რეალიზმი დაქვეითებამდე მიიყვანა. მისი რეალიზმი ძლიერი იყო, ვიდრე გოლსუორთი მესაკუთრულ სამყაროს დაუზოგავად ამხილებდა და მას უპირისპირებდა თუნდაც აბსტრაქტულად გამოხატულ „სილამაზის ინსტინქტის" მატარებლებს. სისხლხორციანი რეალიზმი უარყოფითის გამოხატვაში მთელი წარსული ლიტერატურის დამახასიათებელი და საყოველთაოდ აღიარებული თვისებაა. თვით საკრალური წიგნებიც კი ჯოჯოხეთის სავსებით დამაჯერებელ და კონკრეტულ სურათს უხატავდნენ შუა საუკუნეთა ადამიანს, ხოლო სამოთხეზე წარმოდგენა მეტად ბუნდოვანი და მიმქრალი სახეებით იქმნებოდა. ახალი საუკუნეების ნაწარმოებებში გამოხატული ბოროტმოქმედების რეალობას დიდი მტკიცება არა სჭირდებოდა, ხოლო დადებითი გმირები კი მხოლოდ იდეების რუპორებს წარმოადგენდნენ. და თუკი სადმე დადებითი იმავე დროს იყო რეალისტურიც, როგორც, მაგალითად, შექსპირის უკვდავ დრამებშია, იქაც ეს რეალიზმი მხოლოდ უარყოფითთან უშუალო შეხების ანუ მასთან ბრძოლის წყალობით იქმნებოდა. როგორც ჩანს, ამ თავისებურებებს განსაზღვრავდა თვით სინამდვილე და იქიდან გამოსული ადამიანი, რომელიც ბოროტებას ფიზიკური თვალით ხედავდა, ხოლო სიკეთეს კი — მხოლოდ გონების თვალით. სინამდვილის ამგვარ ანარეკლს ვერ გაექცა ვერც გოლსუორთი. ხოლო როდესაც მან სცადა თავის უკანასკნელ, მესამე ტრილოგიაში „თავის დასასრული" გამოეყვანა ორივე ძირითადი ინსტინქტით აღჭურვილი სინთეტური გმირი, რომელსაც უნდა დამეყარებოდა კატასტროფის პირად შემდგარი იმპერიალისტური ინგლისი, მისმა რეალიზმმა აშკარა მარცხი განიცადა. მსოფლმხედველობაში გაჩენილი ბზარი მის მხატვრულ მეთოდშიც გამოჩნდა... მიუხედავად ამისა, გოლსუორთიმ, როგორც მხატვარმა, ბევრი რამ ახალი და საინტერესო დაუტოვა ლიტერატურის ისტორიას. უთუოდ ცალკე კვლევის ღირსია მისი ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ხერხების მთელი კომპლექსი: კლასიკური რეალიზმის ხერხების არსენალში გოლსუორთის შეაქვს სრულიად ახალი, ზოგჯერ მოდერნიზმით ნაკარნახევი, გაუმჯობესებანი, რომელთაც იგი სრულიად ბუნებრივად აყენებს თავისი რეალიზმის სამსახურში; მინიშნებანი; ერთი ამბის ჩვენება სხვადასხვა პერსონაჟების თვალით; ორმაგი ტექსტი: ჩვეულებრივი — რომანის ზედაპირზე, ფსიქოლოგიური — ზედაპირის ქვეშ; სახეთა სიმბოლურობა; გარემოსა და განწყობილების შეხამება, — განსაკუთრებით ბუნების ლირიკული სურათების საშუალებით ადამიანთა განწყობილების ოსტატური ხატვა; გულთბილი ჰუმორი, რომანების ბრწყინვალე კომპოზიცია. კიდევ ბევრი რამ შეიძლებოდა მიგვეთითებინა, მაგრამ ეს უთუოდ შორს წაგვიყვანდა. გოლსუორთი შეგნებულად ცდილობდა მისი ხელოვნება მიუკერძოებელი და ობიექტური ყოფილიყო. როდესაც იგი სოციალურ სინამდვილეს ხატავდა, მას ფატალისტურად სწამდა სოციალურ ძალთა მოქმედების გარდუვალობა, მაგრამ სრულიად არ ესმოდა ამათი კანონზომიერება. ამიტომაც დიდ სოციალურ ძვრათა წინაშე მან ბოლოს და ბოლოს მისტიციზმისაკენ დაიხია. „სამყაროს პირველ მიზეზის შეგნება ადამიანისათვის მიუწვდომელია, — სწერდა იგი, — მან უნდა მიიღოს ის, რაც არის. იდუმალებიდან მოვედით ჩვენ და იდუმალებას დავუბრუნდებით. სიცოცხლე და სიკვდილი, მიქცევა და მოქცევა, დღე და ღამე, უსაწყისო და უსასრულო ქვეყანა, აი ის ყველაფერი, რაც ადამიანს შეუძლია დაიჭიროს. მაგრამ ამ მცირე გარკვეულობაში იგი არ ხედავს დაღონების მიზეზს. ცხოვრება მათთვის ვისაც კიდევ აქვს სასიცოცხლო ინსტინქტი, თავისთავად საკმაოდ კარგია, თუნდაც არაფრისაკენ მიდიოდეს იგი; და ჩვენ, ადამიანებმა უნდა გავკიცხოთ ჩვენივე თავი, თუ ცხოველთა სამყაროში მხოლოდ ჩვენ ვცხოვრობთ ისე, რომ ვკარგავთ სიცოცხლის სიყვარულს. რაც შეეხება იმ როლს, რომელსაც ჩვენ ვთამაშობთ, გაბედულება და სიკეთე უნდა მივიჩნიოთ ორ უმთავრეს სათნოებად, რადგან ისინი შეიცავენ ყველაფერს, რაც რეალურია სხვა სათნოებათა შორის, მხოლოდ ისინი აძლევენ ადამიანის სიცოცხლეს ფასს, მხოლოდ მათ მოაქვთ შინაგანი ბედნიერება".

ოცდახუთი წლის წინ გარდაიცვალა ჭეშმარიტებისა და მშვენიერების ეს მაძიებელი. ანდერძის თანახმად, მისი ცხედარი დასწვეს და ფერფლი მშობლიური ინგლისის ბორცვებზე ქარს გაატანეს, რათა ამ გზით დაბრუნებოდა იგი იმ დიდ იდუმალებას, რომლის ფიზიკურ ასლს — ამქვეყნიური ბუნების სილამაზეს იგი უმღეროდა მთელი თავისი სიცოცხლე.

# სპორტული ნარევი

## საკადრისი ხურდა

ლოს-ანჟელოსში „პასადე ნა ბოქსინგ კლუბის“ რინგზე მოხდა მეტად საინტერესო შემთხვევა.



ავსტრალიელი მოკრივე გრაიმსი. ყოველ შესაფერის მომენტში ცდილობდა არბიტრისაგან მალულად გამოეყენებინა აკრძალული ილეთი.

მაგრამ არბიტრს არ გამოპარვია მოკრივის ეს ხრიკები და რამდენიმეჯერ მისცა მას გაფრთხილება. გრაიმსმა ეს იუკადრისა და... მთელი ძალით მოარტყა არბიტრს. ამ უკანასკნელის მხრივ საპასუხო დარტყმას არ დაუყოვნებია და გრაიმსი ღრმა ნოკაუტში მყოფი ჩამოიყვანეს რინგიდან.

მთელ ამ ამბავში გასაკვირი არაფერია. მატჩს მსაჯობდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მძიმე წონაში, ერთ დროს უძლეველი მოკრივე ჯეკ დემპსი.

## უიღბლო პენალტი

რა შეიძლება ფეხბურთში იყოს 11-მეტრიან საჯარიმოზე უფრო საშინელი სასჯელი. მაყურებლებს ფეხბურთი ახლა არცა აქვთ წარმოდგენილი პენალტის გარეშე. სასჯელის ეს უმაღლესი ზომა დაწესებული იქნა დიდი ხნის წინ.

ეს ამბავი მოხდა ინგლისის თასის გათამაშებაზე „ნოტსისა“ და „სტოკის“ გუნდებს შორის. ანგარიში ერთი ბურთით მიჰყავდა „ნოტს“. ამ დროს „სტოკის“ თავდამსხმელები გავიდნენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და ერთ-ერთმა მათგანმა დაარტყა კიდეც კარში, მაგრამ მცველმა ზედ კარის ხაზიდან ხელით მოიგერია ბურთი. მსაჯმა დანიშნა თავისუფალი დარტყმა, რომელიც ვერ იქნა გამოყენებული და „სტოკმა“ წააგო მატჩი.





შეხვედრის შემდეგ გუნდმა პროტესტი წარადგინა. იგი არ იქნა მიღებული, მაგრამ წესებში შემოიღეს სპეციალური პუნქტი 11-მეტრიანი საჯარიმოს შესახებ.

ამის შემდეგ „სტოკს“ მატჩი ჰქონდა „ასტონთან“. აქ თამაშის დასასრულს „სტოკის“ სასარგებლოდ დანიშნულ იქნა პენალტი, მსაჯმა დადო ბურთი წერტილზე და... აქვე მისცა თამაშის დამთავრების აღმნიშვნელი სასტვენი.

კვლავ პროტესტი. იგი ისევ არ მიიღეს, მაგრამ წესებში შემოიღეს ახალი პარაგრაფი იმის შესახებ, რომ თუ მატჩის დრო ამოიწურა, 11-მეტრიანი საჯარიმო მაინც უნდა შესრულდეს.

ასე მისცა „სტოკმა“ თავისი ორი წაგების ფასად ფეხბურთს ორი მეტად მნიშვნელოვანი წესი.

## საოცარი ერთსულოვნება



სტოკჰოლმის ერთ-ერთმა გაზეთმა თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა ანკეტა, სადაც მკითხველებს უნდა ეპასუხათ შემდეგ კითხვაზე: „რა საჩუქრის მიღება გაგეხარდებოდათ ყველაზე უფრო შობისათვის?“

მკითხველთა 80-მა პროცენტმა კითხვაზე ერთსულოვანი პასუხი გასცა: „აბონემენტი ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ფინალურ მატჩებზე“.



დედა ეზოში არ გვიშვებს!

ფოტოეტიუდი ნორა ანთიძისა

## ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს



ინგლისური საფეხბურთო კლუბის „ბრისტოლის“ ხელმძღვანელობამ ამას წინათ მიიღო საფოსტო გადარიცხვა 1 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით.

წერილში, რომელიც თან ახლდა გადარიცხვას, გამომგზავნი წერდა: „მე გახლავართ თქვენი კლუბის ძველი გულშემატკივარი. 1933 წელს უფასოდ ვუყურე ერთ მატჩს — გავძვერი კონტროლიორებს შორის, ვინაიდან ბილეთის ფული არა მქონდა. ახლა ფული გამიჩნდა და გიბრუნებთ ძველ ვალს“.

## „ბებრუხანების“ რბოლა

შვეიცარიაში ყოველწლიურად ეწყობა რბოლა ავტომანქანებისა და მოტოციკლებისათვის, რომლებიც გამოშვებულია 1927 წლამდე.

ავტომობილიზმის ამ „ბებრუხანათა“ რბოლას მეტად დიდი წარმატება აქვს და მას სხვაგვარად „ნერვების ლიტინსაც“ უწოდებენ.

მაგალითად, სტარტზე გამოვიდა ისეთი უნიკუმი, როგორიცაა „საურერის“ მარკის ავტომანქანა, გამოშვებული... 1898 წელს. მას აქვს ერთცილინდრიანი მოტორი და ხის თვლები.

ყველაზე „თანამედროვედ“ ითვლებოდა „ტურიცუმის“ მარკის ავტომანქანა (1905 წლის გამოშვება). მოტოციკლების კლასში თავისი „სილამაზით“ გამოირჩეოდა „ჰენდერსონის“ ფირმის მანქანა (1919 წლის გამოშვება).

ყველა მძღოლი ვალდებული იყო ჩაეცვა მანქანის გამოშვების ეპოქის შესაბამისად.



## საინტერესო ფაქტები

ცნობილი ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე რ. ბ. ხოლდენი (1856-1928), ორმოცდარვა წლის განმავლობაში ყოველდღიურად წერდა წერილებს დედას.

* * *

ყველაზე ძველი პური აღმოჩენილი იქნა ეგვიპტეში, დედოფალ ხატშეპსუტის აკლდამაში. მისი „ხნოვანება“ 3500 წელს უდრის.

* * *

საფრანგეთში არის სასტუმრო, რომელსაც არასოდეს არ ხვდება მზის სხივი. იგი გაშენებულია მთის ფერდობზე, ორას ათ მეტრიან ჩანჩქერის უკან. მზიან დღეებში, სასტუმროს ყველა ფანჯარაში განუწყვეტლივ ანათებს ცისარტყელა.

* * *

ლა-მანშის სრუტის ნაპირები ყოველწლიურად ფართოვდება ორი მეტრით.

*

იგტაპის ტბა ახალ ზელანდიაში (სიგრძე 2 კმ, სიგანე 2 კმ, სიღრმე 30 მ), გაჩნდა მიწისძვრის შედეგად 1931 წელს.

1938 წელს ტბა ისევ გაქრა, იმავე მიზეზით.

*

1872 წლის 17 ივნისს, ბოსტონში, დიდ ნაციონალურ დღესასწაულზე გამოვიდა მრავალათასიანი ანსამბლი. მის შემადგენლობაში იყო ორი ათასი მუსიკოსი და ოცი ათასი მომღერალი. გუნდმა და ორკესტრმა შეასრულა შტრაუსის „ცისფერი დუნაი“.

*

ყველაზე უძველესი ინსტრუმენტები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს არის ძველეგვიპტური არფა და ფლეიტა. ისინი ექვსი ათას წელზე მეტი ხნისა არიან.

•

შევარდენი მსხვერპლზე თავდასხმის დროს ანვითარებს თვითმფრინავის სიჩქარეს — დაახლოებით სამას სამოც კილომეტრს საათში.

*

პენსილვანიელი (აშშ) პარაშუტისტი ჰენრი ლანგერი, ოცდახუთი წლის განმავლობაში 479-ჯერ აფრინდა ჰაერში და არც ერთხელ არ დაფრენილა მიწაზე თვითმფრინავით, იგი ყოველთვის პარაშუტით ეშვებოდა.

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი ზ. ლეჟავა ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 8 მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად. 5/IV-58 წ. გამომც. № 34 ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11 ტირაჟი — 20.000. შეკვეთის № 152 უე 00791

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადისთვის მოსკოვში ნიჭიერმა ახალგაზრდა მხატვრებმა მ. ბერძენიშვილმა, ე. ბერძენიშვილმა, ლ. შენგელიამ, ირ. გორდელაძემ, ნ. მალაზონიამ, დ. დუნდუამ, ო. ჯიშკარიანმა, ი. დივნაგორცევამ, ს. კაშხიანძა, ვ. გიორგობიანმა, შ. კუპრაშვილმა ლადო გრიგოლიას ხელმძღვანელობით შექმნეს პლაკატების სერია. ეს პლაკატები მოწმობენ მათი ავტორების მაღალ გემოვნებას და მზარდ ოსტატობას.

МИНИСТЕРСТВО КУЛЬТУРЫ СССР МИНИСТЕРСТВО КУЛЬТУРЫ ГССР

б 33/94
5 6/89
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ГОСУДАРСТВЕННЫЙ ЗАСЛУЖЕННЫЙ АНСАМБЛЬ НАРОДНОГО ТАНЦА ГРУЗИИ



ЛАУРЕАТ КОНКУРСА IV ВСЕМИРНОГО ФЕСТИВАЛЯ МОЛОДЕЖИ И СТУДЕНТОВ В БУХАРЕСТЕ

ХУДОЖЕСТВЕННЫЕ РУКОВОДИТЕЛИ
НАРОДНЫЕ АРТИСТЫ ГРУЗИНСКОЙ ССР
ЛАУРЕАТЫ СТАЛИНСКОЙ ПРЕМИИ
НИНО РАМИШВИЛИ И ИЛИКО СУХИШВИЛИ